

სახეს

2024, თებერვალი

საბარძიბოლოს კაპოლონოპოზო ყოპოლოთოიპორო აპოპო
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA

ფიფი დსმბვს

სარჩევი

რედაქტორის გვარდი 3

კათოლიკე ეკლესია
მსოფლიოში..... 4-5

პაპის გზავნილი..... 6-7

ჩვენი ეკლესია 8

ეკუმენური გვარდი..... 9-10

ჩანართი:..... I-IV

სახარების სინარულის
მოხმენი..... 11


აქტუალური თემა 12-13-14

სოციალური გვარდი - Iner
Georgia 15-16

კათოლიკური
კულინარია 17

ახალი წიგნები..... 18

ინფორმაცია..... 19



ჩვენი ეკლესიის ცხოვრება



თეგერვალი

- 2** თებერვალი - მირქმა, ბერ-მონაზონთა დღე
- 9** თებერვალი - დიაკ. ანტონ ხითაროვის გახსენება (+2022)
- 11** თებერვალი - ლურდის ღვთისმშობლის ხსენება, სნეულთა დღე; მომლოცველობა სტამბულის ქართულ საგანეში
- 14** თებერვალი - ნაცრის ოთხშაბათი, მძიმე მარხვის დღე, დიდმარხვის დასაწყისი
- 14** თებერვალი - წმ. კირილე და წმ. მეთოდი, ევროპის მფარველნი
- 17** თებერვალი - მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)
- 22** თებერვალი - წმ. პეტრეს საყდარი
- 23** თებერვალი - მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება (+1938)

ყოველდღიურობის ნამდვილი გემოს შეგრძნებით

მამა ბაბრიელე პრაბანტინი CSS



წელს ყველა დიდი ინტერესით მოელის რეჟისორ ვიმ ვენდერსის ფილმს „Perfect Days“ („იდეალური დღეები“), რომლის მთავარი პერსონაჟია ჰირაიამა. იგი მუშაობს ტოკიოში, ცნობილი არქიტექტორების მიერ 2020 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის აგებული ტუალეტების დამლაგებლად, მისთვის სამუშაო თითქოს მედიტაციური რიტუალია, რომელშიც საკუთარი ბედნიერების პოვნაა შესაძლებელი. ჰირაიამა კეთილი ადამიანია, მარტოხელა და მშვიდი, ცოტათი ანტიგმირი და ცოტათი დაცემული ანგელოზი, რომელიც გადანყვეტს, რომ მთელი ცხოვრება მიუძღვნას თავის სამუშაოს: ყოველდღიურად დაასუფთაოს, დაალაგოს, თავისი ადგილი მიუჩინოს გასაღებებს, მცენარეები გასხლას და მორწყას, ავტომატურ აპარატში შეტონი ჩაადოს და თუნუქის ქილა აიღოს. ჰირაიამას სახის გამომეტყველება სიტუაციის შესაბამისად ეცვლება: ღუნდება, ივსება ნაოჭებით, სხვადასხვა ემოციის განცდით ფერი ეცვლება და ეკარგება, ხოლო მისი თვალები - ესოდენ მეტყველი და ბრწყინვალე - ბუნებრივად ივსება ცრემლებით. მას მოსწონს კლასიკური პოპ-როკი, მომღერალი ვენ მორისონი, ოტის რედინგი და პატი სმიტი, რომელთაც სისტემატურად უსმენს ცოცხებით სავსე ფურგონში, როდესაც თავისი ქალაქის ქუჩებში მოძრაობს. ჰირაიამასთან რამდენჯერმე შეხვედრიდან და მისი შავ-თეთრი ოცნებებიდან ხვდები, რომ მის ცხოვრებას გრძელი ნაცრისფერი ზოლი გასდევს. მას იდუმალი წარსული აქვს, პრივილეგიებითა და ფუფუნებით სავსე წარსული, რომელზედაც მან უარი თქვა, მაგრამ ისწავლა როგორ იცხოვროს აქ და ახლა, ბერი ძენის მსგავსად, და კმაყოფილია საკუთარი ადგილით ამქვეყნად; სჯერა, რომ მშვიდი წესრიგით თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ სიკეთეში, რაც ყველაზე ფასეულია.

ჰირაიამას, უბრალო დამლაგებელს, ვერავინ ამჩნევს, თუმცა მის თვალს არაფერი გამოეპარება. მრავალთათვის შეუმჩნეველი თავისი მზერით ყველას სწვდება, ყველას პატივისცემით ეპყრობა, იმ უსახლკაროსაც, საზოგადოებრივ ტუალეტთან

ახლოს რომ დაუდევს ბინა. ბრაზი უცხოა მისთვის, წვრილმანების მიმართ გულისხმიერია და არასოდეს იშურებს ღიმილს. ჰირაიამა გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება თვალისთვის შეუმჩნეველი დარჩეს სილამაზე, მაშინ როდესაც მთავარი გმირის რუტინა ერთგვარ ყოველდღიურ რიტუალად ქცეულა, რომელიც აყალიბებს მის ცხოვრებას, მაგრამ რაც უფრო მეტად აკვირდები მას, მით უფრო ხვდები, რომ ეს სულაც არ არის მოსაწყენი ან დამლელი, პირიქით, იგი თავისუფლებას ანიჭებს მას, რომ მთელი დღის მანძილზე არაერთხელ მიიღოს სიამოვნება, უფრო მეტად ანმყოზე ფიქრით, ვიდრე მომავალზე.

შეიძლება ჰირაიამა უტოპიურ პერსონაჟად მოგვეჩვენოს, მაგრამ მას ხელენიფება ჩაგვაფიქროს ყოველდღიური ცხოვრების უბრალოებაზე, ჩვენს არჩევანზე, განსაკუთრებით ამ ახალი წლის დღეებში და დიდმარხვის დასაწყისში (14 თებერვალი), გვაჩვენოს ცხოვრების ალტერნატიული გზა, ნაკლებად ხარბი და მტაცებლური, უფრო მშვიდი და მდგრადი, უფრო წყნარი და სარწმუნო, საკუთარ თავთან და ირგვლივ არსებულ რეალობასთან ჰარმონიაში: საბოლოოდ ხომ ყველა ჩვენგანი ოცნებობს რეალური ცხოვრების დროის შენელებაზე. ჰიპერ-ტექნოლოგიურ სინამდვილეში, უღმობელი ომებით რომ შერყეულა და ღმერთის დაპირებებს გზააბნეული უყურებს, გაისმის კითხვა: ეს ის სამყაროა, რისი გადაცემაც გვინდა ახალი თაობებისთვის? ჰირაიამა, რომელსაც ასე ნოსტალგიით შევქცერით, სულაც არ ისწრაფვის ვინმეს ცხოვრებისეული გაკვეთილი ჩაუტაროს, და მაინც, უპრიანი იქნებოდა დაგვესვა კითხვა გამოუთქმელისა და გაუმჟღავნებლის, ამავედროულად, რეალურის შესახებ: ნუთუ ყოველდღიურობის ნამდვილი გემოს შეგრძნებით ადამიანს არ შეუძლია იპოვოს და შეიცნოს საზრისი ღვთისა და მისი არსებობისა, იმ მადლისა და განგებულებისა, რომელიც უკვე მოქმედებს მასში, როგორც უსაზღვროდ ადამიანური და, იმავედროულად, ღვთაებრივი ცხოვრების სული და მამოძრავებელი ძალა.

„ომი ოცნებას კლავს“



14 იანვარს უნმიდესმა ფრანცისკემ იტალიურ ტელეარხ „Nove“-ს ვრცელი ინტერვიუ მისცა. საუბარი შეეხო მომავალ სამოციქულო მოგზაურობებს, უკრაინას, ერთსქესიან წყვილთა კურთხევას, მიგრაციას და საეკლესიო რეფორმებს. „10 იანვარს უკრაინელი ბავშვები მესტუმრნენ. შოკოლადით გაფუმასპინძლდი და არცერთ მათგანს არ გაუღიმიო. ბავშვები ხომ სიხარულს სპონტანურად გამოხატავენ. მათ კი ისეთი რამ ნახეს ომში, რამაც ღიმილი დაავინწყათ. აი, რას აკეთებს ომი: ის ოცნებას კლავს. ერთმა ეკონომისტმა მითხრა, რომ ახლა ყველაზე დიდი მოგება იარაღის ქარხნებში ინვესტირებას მოაქვს, ანუ მკვლელობაში ინვესტირებას“, - აღნიშნა ფრანცისკემ.

კითხვაზე შესაძლო გადადგომის შესახებ პაპმა უპასუხა: „ამგვარი შესაძლებლობა ყოველი პაპისთვის არსებობს, თუმცა ახლა ამაზე არ ვფიქრობ. წელს ორ სამოციქულო მოგზაურობას ვგეგმავ: აგვისტოში - პოლინეზიაში, წლის ბოლოს კი - არგენტინაში. ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ შემოიძლია მსახურება. გადადგომაზე მაშინ ვიფიქრებ, როცა მსახურებას ველარ შევძლებ“.

საუბარი შეეხო ასევე რწმენის მოძღვრების დეპარტამენტის დეკლარაციას „Fiducia Supplicans“, სადაც განხილულია კურთხევის პასტორალური მნიშვნელობა. უნმიდესმა ფრანცისკემ აღნიშნა, რომ „უფალი აკურთხებს ყველას, ვინც მას მიეახლება. მაგრამ ადამიანი თავად უნდა გაიხსნას ღვთის კურთხევისთვის და მიიღოს ის გზა, რომელზეც უფალი მიუთითებს. ხოლო ჩვენი საქმე ადამიანის დაგმობა კი არა, ამ გზაზე მისთვის დახმარების განწვევა“ (დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება ქორწინების შესახებ უცვლელი რჩება. ერთსქესიან წყვილთა კურთხევა არ წარმოადგენს ლიტურგიულ წესს. მოძღვარს შეუძლია აკურთხოს მასთან მოსული წყვილი, თუნდაც მათი ურთიერთობა ეკლესიის ზნეობრივ ნორმებს არ შეესაბამებოდეს.

ეს საჭიროა იმისთვის, რომ ეკლესიამ შეძლოს იმ წყვილთა მიღებაც კი, რომელთა ცხოვრება ქრისტიანული ზნეობის ნორმებს არ შეესაბამება).

კითხვაზე, თუ როგორ წარმოუდგენია მას ჯოჯოხეთი, ფრანცისკემ ასე უპასუხა: „ახლა რასაც ვიტყვი, რწმენის დოგმა კი არა, ჩემი პირადი აზრია. სიამოვნებას მგვრის ფიქრი, რომ ჯოჯოხეთი ცარიელია“.

ნიკარაგუის ხელისუფლებამ კათოლიკე ეკლესიის ცხრაბედი ღვთისმსახური ბათივარსი უფლა

ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ ნიკარაგუის ხელისუფლებამ გაათავისუფლა მატაგალპის ეპისკოპოსი როლანდო ალვარესი, სიუნის ეპისკოპოსი ისიდრო მორა, თხუთმეტი მღვდელი და ორი სემინარისტი. 14 იანვარს ნიკარაგუელი ღვთისმსახურები ვატიკანში ჩავიდნენ. სანამ ორტეგას რეჟიმი ეკლესიას დევნის, სამშობლოში დაბრუნება მათთვის სახიფათოა. ამიტომ გათავისუფლებულები რომის ეპარქიის სხვადასხვა სტრუქტურაში იმსახურებენ.



ნათლისღების დღესასწაული იერუსალიმში

12 იანვარს ათასობით კათოლიკე მორწმუნე მდინარე იორდანეს ნაპირებთან შეიკრიბა, რათა უფლის ნათლისღების დღესასწაული აღენიშნა. წირვამდე, ჟურნალისტებთან საუბრისას, იერუსალიმის კათოლიკე პატრიარქმა, კარდინალმა პიერ-

ბატისტა პიცაბალამ კვლავ მოუწოდა ცეცხლის, მკვლელობის, დევნისა და ნგრევის დაუყოვნებელი შეწყვეტისაკენ. ასევე, მან მადლობა გადაუხადა იორდანის სამეფო ოჯახს და ხელისუფლებას უწყვეტი ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფისათვის და იორდანის ადამიანური განვითარების ჰაშიმთა ფონდს, რომელიც უშუალო დახმარებას უწევს წმიდა ოჯახის სამრევლოს წევრებს, რომლებიც ლაზის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობენ. იორდანის საპატრიარქო ვიკარიუსმა ჯამალ დაიბესმა თავის ქადაგებაში აღნიშნა: „აქ ღმერთმა კაცობრიობის ხსნის ისტორია დაასრულა. გავუფრთხილდე ამ ადგილს. მივბაძოთ იესო ქრისტეს, რათა ჩვენი სიტყვა მთელი მსოფლიოსთვის მშვიდობისა და სიყვარულის გზავნილად იქცეს“.

ვიწყებთ საეკლესიო ლოცვის წელს – პაპი ფრანცისკე



უნმიდესმა ფრანცისკემ ახლად დაქორწინებულები აკურთხა

„მიჯნურობა ერთ-ერთი ყველაზე სუფთა გრძნობაა. თუმცა ბოროტებამ შეიძლება ამ ბაღნარშიც შემოაღწიოს. თუკი ეს წმინდა ურთიერთობა მრუშობისა და ავხორცობის მანკით წაიბილნება, თუკი ეს სწეულება სხეულს, გონებასა და გრძნობებს მოიცავს, ერთი ადამიანი მეორეს კი აღარ უსმენს, არამედ მხოლოდ საკუთარ სურვილებზე ფიქრობს, კი არ აძლევს, არამედ ძარცვავს. ნამდვილ სიყვარულს კი თან სდევს პატივისცემა. მას თანაგრძნობა ახლავს. ვისაც ნამდვილად უყვარს, ის გასცემს და ნაცვლად არაფერს ითხოვს. მხოლოდ სულის, გრძნობისა და სხეულის მშვენიერებას უმზერს და ხარობს“, - მიმართა უნმიდესმა პაპმა 17 იანვარს პავლე მეექვსის დარბაზში მასთან სტუმრად მისულ ახლად დაქორწინებულ წყვილებს.

„რამდენიმე თვეში, წმიდა კარიბჭე გაიხსნება და საიუბილეო 2025 წელი დაიწყება, დღეს ვიწყებთ ლოცვის წელს“, — განაცხადა პაპმა ფრანცისკემ და მორწმუნეებს მოუწოდა გულითადად ილოცონ, რათა ეს მადლიანი მოვლენა ღირსეულად იქნეს განცდილი და ღვთის იმედის ძალა ყველამ შეიგრძნოს.

რომის ეპისკოპოსის განმარტებით, ვატიკანის ევანგელიზაციის დიკასტერია, კათოლიკური თემების დასახმარებლად, გამოაქვეყნებს რესურსებს, რათა მორწმუნეებისათვის „ლოცვის წელი“ ნაყოფიერი იყოს. წმიდა საყდრის პრესსამსახურმა ასევე განაცხადა, რომ ლოცვის წლის შესახებ პრესკონფერენცია 23 იანვარს გაიმართება.

„ამ წლის გატარება გულმზურვალე ლოცვაში ყოველ ქრისტიანს დაეხმარება კვლავ აღმოაჩინოს საკუთარი თავისთვის მნიშვნელოვანი ფასეულობა და ლოცვის აბსოლუტური აუცილებლობა, პირად, ეკლესიისა და მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში. ამაში ასევე დაგვეხმარება ევანგელიზაციის დეპარტამენტის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო“, - აღნიშნა პაპმა ფრანცისკემ.

2025 წლის საიუბილეო წელი 2024 წლის 24 დეკემბერს (შობის ღამეს) დაიწყო და 2026 წლის 6 იანვარს დასრულდება.

საიუბილეო წლის განმავლობაში წმიდა პეტრეს ბაზილიკასა და რომის სხვა დიდ ბაზილიკებში შიგნიდან დალუქული კარები იხსნება. წმიდა კარის გაღება კათოლიკეებისათვის სიმბოლოა, რომელიც ხსნას სთავაზობს „არაჩვეულებრივი გზით“. მომლოცველებს, რომლებიც გადიან წმიდა კარს, შეუძლიათ მიიღონ პლენარული ინდულგენცია.





**წმიდა მამის გზავნილი სნეულთა
XXXII მსოფლიო დღისათვის
(2024 წლის 11 თებერვალი)**

**„ადამიანისთვის არ არის კარგი მარტო ყოფნა.“
ავადმყოფთა მკურნალობა ურთიერთობებზე
ზრუნვით.**

„არ არის კარგი კაცისათვის მარტო ყოფნა“ (დაბ. 2,18). ღმერთმა, რომელიც სიყვარულია, თავიდანვე შექმნა ადამიანი თანაზიარებისთვის, როცა მის არსებაში ჩანერა ურთიერთობების განზომილება. ამრიგად, სამების ხატად ნაძერწი ჩვენი ცხოვრება მოწოდებულია სრულად განახორციელოს საკუთარი თავი ურთიერთობების, მეგობრობისა და ურთიერთსიყვარულის დინამიკაში. ჩვენ შექმნილი ვართ ერთად ყოფნისთვის და არა მარტო. სწორედ იმიტომ, რომ თანაზიარების ეს ჩანაფიქრი ასე ღრმად არის ჩანერილი ადამიანის გულში, მიტოვებისა და მარტოობის გამოცდილება გვაშინებს და მტკივნეული და არა-ადამიანურიც კია ჩვენს თვალში. ეს უფრო მძაფრდება სისუსტის, გაურკვეველობისა და დაუცვ-

ელობის დროს, რაც ხშირად გამოწვეულია რაიმე სერიოზული დაავადების გამოვლენით.

ვფიქრობ, მაგალითად, მათზე, ვინც საშინლად მარტო იყო კოვიდ-19-ის პანდემიის დროს: პაციენტები, რომლებიც ვერ იღებდნენ სტუმრებს, მაგრამ ასევე ექთნები, ექიმები და დამხმარე პერსონალი, ყველანი, გადატვირთული სამუშაოთი და ჩაკეტილი იზოლირებულ პალატებში. რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რამდენს მოუწია სიკვდილის ჟამმა მარტოს, ჯანდაცვის პერსონალის ყურადღების ქვეშ, მაგრამ საკუთარი ოჯახებისგან შორს.

ამავდროულად, ტკივილით ვიზიარებ მათ ტანჯვასა და მარტოობას, ვინც ომისა და მისი ტრაგიკული შედეგების გამო აღმოჩნდა მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე: ომი ყველაზე საშინელი სოციალური სნეულებაა და ყველაზე მყიფე ადამიანებს უწევთ მისი ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებშიც, რომლებიც სარგებლობენ სიმშვიდით და მეტი რესურსით, სიბერისა და ავადმყოფობის დროს ადამიანი ხშირად მარტოა და ზოგჯერ მიტოვებულიც კი. ეს სამწუხარო რეალობა, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალიზმის კულტურის შედეგია, რომელიც განადიდებს პროდუქტიულობას ნებისმიერ ფასად და ავითარებს ეფექტურობის მითს, ხდება გულგრილი და დაუნდობელიც კი, როდესაც ადამიანებს აღარ აქვთ ძალა, რომ ტემპი შეინარჩუნონ. ამ დროს ის იქცევა ნარჩენების კულტურად, რომელშიც „ადამიანი აღარ განიხილება, როგორც ძირითადი ღირებულება, რომელსაც პატივი უნდა სცე და დაიცვა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი არიან ხელმოკლე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, თუ „ისინი ჯერ არ არიან სასარგებლონი“ — როგორც მუცლადმყოფნი — ან „ისინი აღარ არიან სასარგებლონი“ — როგორც მოხუცები“ (ენც. Fratelli tutti, 18). სამწუხაროდ, ეს ლოგიკა ასევე მოიცავს გარკვეულ პოლიტიკურ არჩევანს, რომელიც ადამიანის ღირსებასა და მის საჭიროებებს ვერ აყენებს ცენტრში და ყოველთვის არ ემხრობა იმ სტრატეგიებსა და რესურსებს, რომლებიც აუცილებელია თითოეული ადამიანის ჯანმრთელობისა და მოვლის ფუნდამენტური უფლების უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, მყიფე ადამიანების მიტოვებას და მათ მარტოობას ხელს უწყობს ზრუნვის დაყვანა მხოლოდ ჯანდაცვის სერვისებამდე, რომელსაც თან არ ახლავს გონივრულად „თერაპიული ალიანსი“ ექიმს, პაციენტსა და ოჯახის წევრებს შორის.

ჩვენთვის კარგია კიდევ ერთხელ მოსმენა ბიბლიური სიტყვისა: არ არის კარგი ადამიანისთვის მარტო ყოფნა! ღმერთი წარმოთქვამს მას შექმნის დასაწყისში და, ამგვარად, გვიჩვენებს კაცობრიობისადმი თავისი გეგმის ღრმა მნიშვნელობას, მაგრამ, ამავე დროს, ცოდვის მომაკვდინებელ ჭრილობას, რომელიც ჩნდება და ინვესტ ეჭვს, გაყოფას, განხეთქილებას და, შესაბამისად, იზოლაციას. ეს უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანზე ყველა მის ურთიერთობაში: ღმერთთან, საკუთარ თავთან, სხვებთან, ქმნილებასთან. ეს იზოლაცია გვაკარგვინებს არსებობის მნიშვნელობას, გვართმევს სიყვარულის სიხარულს და გვაიძულებს განვიცადოთ მარტოობის დამთრგუნველი გრძნობა ცხოვრების ყველა გადამწყვეტ მონაკვეთში.

ძმანო და დანო, პირველი ნამალი, რომელიც ჩვენ გვჭირდება ავადმყოფობის დროს, არის სიახლოვე, სავსე თანაგრძნობითა და სინაზით. ამიტომ ავადმყოფზე ზრუნვა, უპირველეს ყოვლისა, ნიშ-

ნავს მის ურთიერთობებზე ზრუნვას, ყველა მის ურთიერთობაზე: ღმერთთან, სხვებთან — ოჯახთან, მეგობრებთან, ჯანდაცვის მუშაკებთან — ქმნილებასთან, საკუთარ თავთან. შესაძლებელია კი ეს? დიახ, ეს შესაძლებელია და ჩვენ, ყველა, მონოდებული ვართ, ვიმუშაოთ საამისოდ. მოდით, შევხედოთ კეთილი სამარიელის ხატს (მდრ. ლუკ. 10, 25-37), მის უნარს, შეანელოს ნაბიჯი და მიუახლოვდეს, სინაზეს, რომლითაც ის უამებს ჭრილობებს ტანჯულ ძმას.

გავიხსენოთ ჩვენი ცხოვრების ეს მთავარი ქვამარიტება: ჩვენ მოვედით სამყაროში იმიტომ, რომ ვილაცამ მიგვიღო, სიყვარულისთვის ვართ შექმნილი, თანაზიარებისა და ძმობისკენ ვართ მოხმობილნი. ჩვენი არსების ეს განზომილება გვეხმარება განსაკუთრებით ავადმყოფობისა და სიმყიფის დროს და ეს არის პირველი თერაპია, რომელიც ჩვენ ყველამ ერთად უნდა ავამოქმედოთ იმ საზოგადოების სწეულებათა განსაკურნავად, რომელშიც ვცხოვრობთ.

თქვენ, ვინც ავადა ხართ, იქნება ეს დროებითი თუ ქრონიკული ავადმყოფობა, მინდა გითხრათ: ნუ გრცხვენიათ სიახლოვისა და სინაზის სურვილის! ნუ დამალავთ და არასოდეს იფიქროთ, რომ ტვირთი ხართ სხვებისთვის. ავადმყოფის მდგომარეობა ყველას მოუწოდებს, შეანელონ ის დაძაბული ტემპი, რომელშიც ვართ ჩაფლული და ხელახლა აღმოვაჩინოთ საკუთარი თავი.

ამ ეპოქალურ ცვლილებაში, რომელსაც გავდივართ, ჩვენ, ქრისტიანები, განსაკუთრებით მონოდებული ვართ გავითავისოთ იესოს თანაგრძნობით სავსე მზერა. მოდით, ვიზრუნოთ მათზე, ვინც იტანჯება და მარტოა, შესაძლოა გარიყულია და გადაადებული. ურთიერთსიყვარულით, რომელსაც ქრისტიე უფალი გვაძლევს ლოცვისას, განსაკუთრებით ექვარისტიის დროს, ვკურნავთ მარტოობისა და იზოლაციის ჭრილობებს. ამგვარად, ჩვენ ვთანამშრომლობთ ინდივიდუალიზმის, გულგრილობის, ნარჩენების კულტურასთან დასაპირისპირებლად და სინაზისა და თანაგრძნობის კულტურის გასაძლიერებლად.

ავადმყოფები, სუსტები, ღარიბები არიან ეკლესიის გულში და ასევე უნდა იყვნენ ჩვენი ადამიანური ყურადღების ცენტრში და სამწყემსო ზრუნვაში. ნუ დავივინყებთ ამას! და მივანდოთ თავი ყოვლადწმიდა მარიამს, სწეულთა ჯანმრთელობას, რათა გვიშუამდგომლოს და შეგვეწიოს, გავხედოთ სიახლოვისა და ძმური ურთიერთობის შემოქმედნი.

**რომი, ლატერანის წმ. იოანეს ბაზილიკა,
2024 წლის 10 იანვარი
ფრანცისკე**

ეპისკოპოსის ბანმართება ერთსქესიანთა კურთხევის შესახებ

+ ეპისკოპოსი ჯუზეპე კაზოტო
ლათინ კათოლიკეთა კავკასიის
სამოციქულო ადმინისტრატორი



თბილისი, 2023 წლის 19 დეკემბერი

ძვირფასო დანო და ძმანო,

იმის გამო, რომ სარწმუნოების მოძღვრების დოკუმენტების მიერ გამოქვეყნებულმა ბოლო დოკუმენტმა „Fiducia supplicans“, რომელიც მოიწონა პაპმა და რომელიც ეხება უნესივრო წყვილების (ანუ ჯვარდაუნერილი ან ერთსქესიანი წყვილების) დალოცვის შესაძლებლობას, გამოიწვია განსხვავებული რეაქციები და, ხშირ შემთხვევაში, მასმედიის მიერ მრავალი და არცთუ ყოველთვის ადეკვატური ინტერპრეტაციები, მინდა გარკვევით და მარტივად მოგწეროთ ის, რაც გვეცნობა ამ დოკუმენტით:

1. დეკლარაცია უნდა იქნეს გაგებული, როგორც საბოლოო სიტყვა კითხვაზე და უნდა ჩაითვალოს საკმარისად „ამ თემაზე მღვდელმსახურთა გონივრული და მამობრივი გარჩევის წარმართვისათვის“. ამიტომ ის, რაც ამ ტექსტშია გამოხატული, საკმარისად უნდა ჩაითვალოს როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით. აღარ იქნება განცხადებები ეკლესიის ცხოვრების ამ ასპექტზე.

2. გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, ტექსტი იმთავითვე აცხადებს, რომ მიზანი არ არის მამაკაცსა და ქალს შორის ქორწინების აღრევა სხვა სახის კავშირებთან. ეკლესიისთვის „ქორწინება არის საიდუმლო, რომელიც გულისხმობს „ექსკლუზიურ, სტაბილურ და განუყოფელ კავშირს მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც ბუნებრივადაა ღია შვილების წარმოშობაზე“. და ამ საკითხზე მოძღვრება ურყევია, ეჭვქვეშ არ დგება არასოდეს ის, რასაც ეკლესია ყოველთვის აცხადებდა. ვერავინ იტყვის, რომ კათოლიკე ეკლესია ლეზბიანობას ერთსქესიანთა შორის ქორწინება-საკრამენტს.

3. წმიდა მამა, გამომდინარე ღმერთის მოწყალე და მოსიყვარულე სახიდან, რომელიც ძალზე ნათლადაა გამოხატული სახარებაში, განაგრძობს მოხმობით, არ დავკარგოთ სამწყსო სიყვარული, რომელიც

უნდა გასდევდეს ყველა ჩვენს გადანყვეტილებასა და დამოკიდებულებებს“ და მოვერიდოთ იმ „მსაჯულებად ყოფნას, რომლებიც მხოლოდ უარყოფენ, განაგებენ, რიცხავენ“. წარმოდგენილია დალოცვა, როგორც: „ნუგეში, მზრუნველობა და გამხნელება, რომელიც გამოხატავს ღმერთის გულმონყალე ჩახუტებასა და ეკლესიის დედობრიობას და იწვევს მორწმუნეს იგივე გრძნობები იქონიოს, რაც ღმერთსა აქვს ძმებისა და დების მიმართ“. მამა ღმერთი როდი არიდებს თავის მოწყალე სახეს ვინმეს, თუნდაც დაკარგულ კრავს, რომელსაც გზა არევიდა და მიუტოვებია მამის სახლი, პირიქით!

4. კურთხევა შეიძლება მღვდელმა გასცეს, მაგრამ ყოველგვარი რიტუალის გარეშე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი გაგება ლიტურგიულ ან ნახევრად ლიტურგიულ ქმედებად, ამიტომ მისთვის არ არის გათვალისწინებული სპეციალურად მომზადებული ტექსტები, თუმცა არ შეიძლება ეკლესიის სიახლოვეზე უთხრა უარი ყოველ იმ მდგომარეობაში, როცა ღმერთს შენევენ სთხოვენ უბრალო დალოცვის საშუალებით.

პირადად მიმაჩნია, რომ ამგვარ დალოცვაზე მეტად არა მხოლოდ უნდა გვაფიქრებდეს, არამედ უნდა გვზარავდეს კიდევ დალოცვა ტანკების, ბომბებისა და იარაღისა, რომლებიც გამზადებულია საომრად და რომელთა ერთადერთი მიზანი კვლა და განადგურებაა.

ძვირფასო დანო და ძმანო, პაპი, როგორც ყოველთვის, გვინვეს სიღრმეში ჩავიხედოთ, დაგვაფიქრებს, რათა არ დავრჩეთ ზედაპირულნი და გვაჩვენებს ჩვენი მზერის მიპყრობას, უპირველეს ყოვლისა, იმ სახიერებისა და მამობრიობისაკენ, რომლითაც ღმერთი ეპყრობა ყოველ ადამიანს. ყოველი ადამიანი, ყოველი სიცოცხლე ძვირფასია ღვთისათვის!

ვილოცოთ წმიდა მამისთვის, რათა სულწმიდა ყოველთვის თან ახლდეს მას.

მშვიდობით ვიაროთ უფლისაკენ, რომელიც მოდის და ხელახლა იბადება ყველა ჩვენგანისთვის!



ლოცვა ქრისტიანთა ერთიანობისათვის - 2024

19 იანვარს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის თბილისის შერიგების ტაძარში აღესრულა ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის კვირეულის საზეიმო მსახურება, რომელშიც მონაწილეობდნენ სამხრეთ კავკასიაში კათოლიკე ეკლესიის, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიისა და ანგლიკანური ეკლესიის თბილისის წმ. ნინოს სამრევლოს მღვდელმსახურები, მაგალობელთა გუნდები და მრევლის წევრები.

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვებს საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მასში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენლები: პროტესტანტები, მართლმადიდებელი და აღმოსავლური ეკლესიები. კათოლიკე ეკლესიის ჩართულობა ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიძღვნილ კვირეულში, რომელიც, ტრადიციულად, იანვრის თვეში ტარდება, ვატიკანის მეორე კრების შემდგომ მეტად თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი გახდა.

1959 წლის 25 იანვარს, ქრისტიანთა ერთიანობის კვირეულის ბოლო დღეს, ნეტარმა პაპმა იოანე

XXIII-მ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „საშინელი სამსჯავროს წინაშე ყოველი ქრისტიანი ვალდებულია საკუთარ თავს დაუსვას კითხვა: რა გავაკეთე მე ქრისტიანთა ერთიანობისათვის?“ სწორედ ამ გამოსვლის დროს განაცხადა პაპმა თავისი გადამწყვეტილება მოენვია მსოფლიო კრება, რომელიც შემდგომ ვატიკანის მეორე კრების სახელით გახდა ცნობილი.

საქართველოში საბჭოთა კავშირის დროსაც თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკურ ტაძარში სისტემატურად ტარდებოდა ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიძღვნილი ლოცვის კვირეული. მართალია, ეს ლოცვითი კვირეული ერთი ტაძრის სამრევლოს არ სცდებოდა, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმხანად ეს სამრევლო მრავალეთნიკური გახლდათ და მსახურება შვიდ ენაზე აღესრულებოდა. თუმცა გასული საუკუნის 80-იან წლებში ეკუმენიზმის კუთხით უფრო მართლმადიდებელი ეკლესია გამოირჩეოდა. სიონის საკათედრო ტაძარს ხშირად სტუმრობდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის მაღალი რანგის სასულიერო პირები, რომლებიც მსახურებაშიც

იღებდნენ მონაწილეობას. ხოლო ზოგჯერ ბაპტისტ მქადაგებლებსაც უთმობდნენ ამბიონს ქადაგებისათვის. თუმცა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეკუმენიზმის მიმართ დამოკიდებულება ნეგატიური კუთხით შეიცვალა და ტერმინმა „ეკუმენიზმი“ მეტად ნეგატიური კონოტაცია შეიძინა, ისევე, როგორც 60-იანი წლების დასაწყისში, ხრუშჩოვის ანტირელიგიური პოლიტიკის დროს, სალანძღავი მნიშვნელობა შეიძინეს მანამდე უწყინარმა ტერმინებმა „სექტა“ და „სექტანტი“.

2000 წელს საქართველოში ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვების ორგანიზებას სათავეში ჩაუდგნენ კათოლიკე, ლუთერული, სომეხთა სამოციქულო და ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიების მწყემსმთავრები და უკვე მეოთხედი საუკუნეა, ყოველ იანვარს ამ ოთხი კონფესიის საკათედრო ტაძრები მორიგეობით მასპინძლობენ ქრისტიანთა ერთიანობის საზეიმო მსახურებას. სხვადასხვა დროს ამ მსახურებაში ინდივიდუალურად იღებდნენ მონაწილეობას საქართველოს მართლმადიდებელი და უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიების წარმომადგენელი სასულიერო პირებიც, მეორე წელია, რაც ერთიანობის ლოცვებში თბილისში ახლად დაფუძნებული ანგლიკანური ეკლესიის სამრევლოც მონაწილეობს.

ცხადია, წელიწადში ერთხელ საზეიმო მსახურებაში მონაწილეობა სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანთა დაახლოებას ხელს ვერ შეუწყობს, თუმცა ამ ლოცვებმა ის კეთილი ნაყოფი მოიტანა, რომ ლოცვებში მონაწილე ადამიანებმა გაიცნეს სხვა კონფესიის სამრევლოები, განსაკუთრებით, მაგალობელთა გუნდები, სხვადასხვა ენაზე გაჟღერებული საგალობლები, მღვდელმსახურები, დარწმუნდნენ, რომ ენობრივი და ეთნიკური კონფესიური განსხვავებების მიუხედავად, ერთად ღმერთის განდიდება შესაძლებელია, ამგვარად, გაუცხოების ზღუდე წელ-წელა გადაილახა. თუმცა სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა დაახლოებისათვის მხოლოდ წელიწადში ერთხელ შეხვედრა საკმარისი არ არის. ამ კუთხით კი კათოლიკე ეკლესიამ წელს კიდევ ერთი საინტერესო და აუცილებელი აქტივობა განახორციელა. 18 იანვარს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ეკუმენური თანამშრომლობის, მისი მიზნების, თავისებურებების, წარსულის გამოცდილებებისა და აწმყოს გამოწვევების შესახებ მიძღვნილი თემატური შეხვედრა, ე.წ. მრგვალი მაგიდა, მოაწყო. შეხვედრაში მონაწილეობდნენ კათოლიკე და სომეხთა სამოციქულო ეკლესიების წარმომადგენელი სასულიერო პირები, თეოლოგები, რელიგიის მკვლევრები, სტუდენტები და, უბრალოდ, ეკუმენური საკითხებით დაინტერესებული ადამიანები.

შეხვედრა გახსნა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორმა, მამა აკაკი ჭელიძემ, ქრისტიანთა ერთიანობის პრობლემებზე, ისტორიასა და თანამედროვეობაზე ისაუბრეს ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ, მამა ზურაბ კაკაჩიშვილმა, დეკანოზმა, მამა ზაზა თევზაძემ, უცხოეთიდან ონლაინ-ჩაერთვნენ მართლმადიდებელი მღვდელმსახურები. სამომავლოდ კარგი იქნება, თუ მსგავსი თემატური შეხვედრები მოეწყობა, რათა დაინტერესებულ საზოგადოებას, რომელთა რიცხვი, როგორც ჩანს, არცთუ მცირეა, საკმაოდ პოპულარული ენით განუმარტონ თანამედროვე ეკუმენური მოძრაობის, ეკლესიათაშორისი ურთიერთობების მიზნები, გააცნონ ურთიერთ-თანამშრომლობის ის გზები, რომლითაც მიდიან ეკლესიები არცთუ მარტივ მომავალში. ეკუმენურ ურთიერთობებსაც, ისევე როგორც ეკლესიებს, თავისი საზღვრები გააჩნია და მთავარი გამოწვევა ისაა, თუ როგორ დარჩე შენს საზღვრებში და, ამავე დროს, მჭიდროდ ითანამშრომლო მოძმე ეკლესიებთან.





სახარების სიხარული ორგანის ჟღერადობის თანხლებით

შობის დღეს, თბილისის მარია-მის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში, მრავალი მორწმუნისა და დამსწრე საზოგადოების გასახარებლად, საზეიმოდ ეკურთხა ახალი ორგანი; ორგანისტმა ვანო საღარიშვილმა სიცოცხლე შთაბერა ახალ ორგანს; ეს იყო ჩვენი მეუფე ჯუზეპეს დიდი ხნის ოცნება, რომელიც საბოლოოდ განხორციელდა Renovabis-ისა და კელნის ეპარქიის (გერმანია) მიერ გაღებული წვლილის შედეგად, სწორედ მათ გამოგზავნეს კომპანია STOCKMANN-იდან 1974 წელს აწყობილი ორგანი, რომელიც აღარ სჭირდებოდა ეკლესიას; ინსტრუმენტი ხელახლა ააწყო ორგანის ექსპერტმა, ვერონელმა დიეგო ბონატომ, თანაშემწე ფედერიკო მანესტრელთან ერთად;

ინსტრუმენტი ამჟამად აღჭურვილია 1322 მილით, სხვადასხვა რეგისტრითა და აქსესუარით, ეს ყველაფერი მას ძალიან ძვირფას ინსტრუმენტად აქცევს. გასულ საუკუნეში, აქ, საქართველოში, გაანადგურეს (რა ბარბაროსო-


ბაა) ბათუმის, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ორგანები, მაგრამ ასევე განადგურდა ან დაზიანდა არაერთი საეკლესიო ორგანი სხვა ქვეყანაშიც, გაიხსენეთ 2020 წლის 18 ივლისს ნანტის საკათედრო ტაძარში (საფრანგეთი) გაჩენილი ხანძარი, ახლა დადგა დრო, როდესაც მათი აღდგენა შესაძლებელია. თუ ინსტრუმენტი ემსახურება კათოლიკური ეკლესიის ლიტურგიულ ცხოვრებას, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ის საზოგადოების სამსახურშიც იყო. ქართული საზოგადოებაც აუცილებლად შეძლებს ამით ისარგებლოს.

ორგანის ლიტურგიული ღირებულების გასარკვევად გავიხსენოთ ციტატა Sacrosanctum Concilium-დან (ვატიკანის მეორე კრების დოკუმენტი ლიტურგიის შესახებ): „ლათინურ ეკლესიაში დიდად პატივსაცემია ორგანი (*Organum tubulatum*), როგორც ტრადიციული მუსიკალური ინსტრუმენტი. მის ხმას შეუძლია საეკლესიო ცერემონიებს განსაცვიფრებელი ბრწყინვალეობა მიანიჭოს, სულები კი

ღმრთისკენ და ზეციურისკენ ძლიერად აღამაღლოს. სხვა ინსტრუმენტები შეიძლება დაშვებულ იქნას საღმრთო კულტმსახურებაში ადგილობრივი უფლებამოსილი ხელისუფლების განსჯითა და თანხმობით... რამდენადაც ისინი სასულიერო მიზნებისათვის შესაფერისი არის, ან შეიძლება ასეთი გახდეს, აგრეთვე თუ ისინი უპასუხებენ ტაძრის ღირსებას და ხელს შეუწყობენ ერთგულთა ჭეშმარიტ აღზრდას“ (120).

ორგანის ფუნქციები ლიტურგიული ლოცვის დროს

კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების მუსიკალური ტრადიცია მთელი თავისი სილამაზითა და სიმდიდრით გადმოიცემა ორგანის დახმარებით. **ბევრმა, აქაც კი, საქართველოში, მიიღო კათოლიკობა ან მოიხიბლა სწორედ ამ ინსტრუმენტის ჟღერადობის წყალობით, რომელიც დაეხმარა მათ ცხოვრებაში ახალი განზომილების აღმოჩენაში: ლოცვა, ჭვრეტა, სულიერება, ღმერთის არსებობა.** ამ ინსტრუმენტს ყოველთვის გააჩნდა



ორი ძირითადი ფუნქცია: პირველი იყო ის, რომ თანხლება გაენია მორწმუნეთა დასისა და გუნდის გალობისათვის. თავისი ძლიერი ხმის წყალობით, რომელსაც დიდი სივრცის დაპყრობა შეუძლია და თავისი ტკბილხმოვანებით, ჭვრეტასა და მედიტაციაში რომ შევყავართ, ორგანი ხდება ლიტურგიული გალობის ძმა, მისი დიდებული მეგობარი, რომელიც მორწმუნეთა სხვადასხვაგვარ ხმას ერთად ჰკრებს და ზეცად აღმავალ ერთ დიდებულ ხმად აქცევს.

ორგანის მეორე ფუნქცია ეკლესიაში არის ის, რომ მას შეუძლია თავად ილაპარაკოს, ეს ერთგვარი უსიტყვო მუსიკაა: მღუმარებაში მყოფ ჩვენს გონებაში შემოაღწევს და ჩვენი გულის ღრმა სიმებს ეხება, რათა მასში აღძრას რელიგიური გრძნობები, ავთენტური, ინტუიციური ემოციები. ეს ყოვლისმომცველი სახე მუსიკალური ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი. ღმერთის საიდუმლომდე აღმავალ ფიქრებს მაშინვე რაღაც აუხსნელი ინტუიცია გააჩნია, ისეთი კონტურები, რაც არ შეიძლება აღინიშნოს ხაზებით. გონებაში შეიძლება უსიტყვოდ შეიქმნას ღმერთის სახება, თუნდაც ხმოვანებით, რასაც თან არ ახლავს სიტყვები. ზოგიერთი ცივილიზაცია ღმერთს ხმოვანებით მიმართავს (მაგ. ინდური Adm). თავად ბიბლია ამბობს, რომ შეს-

აქმეში „ღმერთმა თქვა...“: ანუ გამოსცა ბგერა, ვიბრაცია, სავსე გამოუთქმელი ძალით. ორგანის ხმა გვეხმარება ღმერთის საიდუმლოს განჭვრეტაში შესაღწევად.

უგალობთ ღმერთს ხელოვნებით

ქრისტიანობის ისტორია ლოცვისა და წმინდა გალობის ისტორიასაც მოიცავს. პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული, ვითარდება ძველი აღთქმის კვალდაკვალ: ფსალმუნები მუდმივად გვინვევენ, რომ ვუგალობოთ ღმერთს „ხელოვნებით“: ვიცეკვოთ, დავუკრათ საკრავებზე, ვიგალობოთ ალელუია. ღვთისთვის შეწირული ლამაზი ძღვენი, რისი შეთავაზებაც ადამიანს ხელწინაა, ოდითგანვე საკულტო ხასიათს ატარებდა: გავისხენოთ საკრალური ხელოვნების ისტორია (არქიტექტურა, მხატვრობა, ქანდაკება, პოეზია, მუსიკა...), საგუნდო საკრალური მუსიკის დიდი ისტორია, ასევე ინსტრუმენტული საკრალური მუსიკა: საუკუნეების მანძილზე მრავალმა კომპოზიტორმა, შეუდარებელმა იოჰან სებასტიან ბახმა, ჰენდელმა, ვივალდემ, მენდელსონმა, სკარლათიმ, პერგოლეზიმ, შთამაგონებელი მუსიკალური ნაწარმოებების საბადო შექმნეს, მათი ხელოვნება მათივე რწმენისა და ნიჭის ნაყოფია, ყველასთვის ხელმისაწვდომი.

არსებობს გარკვეული ანალოგია საეკლესიო ხუროთმოძღვრების ისტორიასა და ორგანის ტექნი-

კური განვითარების ისტორიას შორის: ორივე არის ხალხისგან შემდგარი, ეკლესიისთვის შექმნილი სტრუქტურა, ისინი ქრისტიანობის ისტორიაში შეიქმნა „სილამაზის“ და ხელოვნების და არა მხოლოდ „სარგებლის“ კრიტერიუმით. ამიტომაც საეკლესიო ორგანი ძვირფასი ინსტრუმენტია, რომელიც ამდიდრებს ლოცვასა და სულიერებას. ხელოვნება საუკუნეებს აღემატება, ყველა ზღვარს ლახავს, რადგან ადამიანის სურვილია საკუთარი თავის უზენაესი და იდეალური ხატება დატოვოს, მშვენიერების ის ხატება, რისი შექმნაც მას ძალუძს. ბუნებრივია, რომ იგი ადამიანის ცხოვრების უმაღლეს ეტაპს, ანუ ღმერთთან მის ურთიერთკავშირს გამოსახავს. ხელოვნება ჩვენი, ადამიანური, ნიჭია, რომ უფრო მარტივად გავაცნობიეროთ იმ სამყაროს სილამაზე, სადაც შემოქმედმა მოგვიხმო და რომ ჩვენ, რომლებსაც გველის მასთან პირისპირ შეხვედრა, აღვიქვათ მის ხატად ყოფნის სილამაზე.

ორგანის შექმნის ისტორია

თავდაპირველად სიტყვა „ორგანი“ აღნიშნავდა ზოგადად მუსიკალურ „ინსტრუმენტს“. ძველად ოსტატურად აგებულ ამ ტიპის ინსტრუმენტებს უწოდებდნენ „ორგანას“ (organa), მათ გამოიყენებდნენ როგორც ყოფით გარემოში, ასევე წმიდა ცერემონიების დროს. სიტყვის ეტიმოლოგია უნდა ვეძებოთ სანსკრიტზე „urgas“ (ძალის, ენერჯის გამოშვება), ხოლო ბერძნულად „org“ და „erg“ (ენერჯია, ძალა, თრობა, აღტკინება..). ჰიდრაველოსის ანუ წყლის ორგანის გამოგონება მიეწერება ბერძენ ინჟინერს, კტესიბიოსს, რომელიც ცხოვრობდა ალექსანდრიაში, ეგვიპტეში, ძვ.წ. მე-3 საუკუნეში. ორ საუკუნეზე ნაკლები დასჭირდა, რომ ეს ინსტრუმენტი ფართოდ გავრცელებულიყო ელინურ სამყაროში; დელფოში, რომელიც განთქმული იყო აპოლონის სანკტუარიუმით, ორგანი

მუსიკალურ-რელიგიური ზეიმების ობიექტი იყო. შემდგომში ორგანი იმდენად გავრცელდა, როგორც იმპერიულ რომში ფორტეპიანო.

საუკუნეების განმავლობაში, როდესაც ბარბაროსთა შემოსევების გამო ინსტრუმენტს აღარ გამოიყენებდნენ დასავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ ბიზანტიის იმპერიამ მისი გადარჩენა შეძლო. საიმპერატორო ორგანების მიღები შეიძლებოდა ყოფილიყო ოქროსი, ვერცხლის ან მოოქროვილი სპილენძის, ხოლო კორპუსის პანელები სადაფითა და ძვირფასი თვლებით იყო მოჭედვით. ორგანის დასავლეთში დაბრუნების თარიღად 757 წელს მიიჩნევენ, სწორედ მაშინ, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე კოპრონიმუსმა ძვირფასი ორგანი საჩუქრად გაუგზავნა ფრანკთა მეფეს პიპინ მოკლეს. შემდგომ წლებში ინსტრუმენტმა სწორედ მონასტერთა სიმყუდროვეში, და არა სასახლეებსა და ციხესიმაგრეებში, იპოვა შესაფერისი გარემო და კულტურული პირობები თავისი, როგორც ლიტურგიის ბრწყინვალე და წარმატებული

მსახურის, განვითარებისათვის.

შემდგომში, ხშირად გვხვდება დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ორგანის გავრცელებას ევროპის საკათედრო ტაძრებსა და დიდ მონასტრებში. ალორძინების ხანიდან ორგანი გახდა მთავარი ინსტრუმენტი ეკლესიებში და ხელოვნების ისტორიაში ღირსეული ადგილი დაიკავა მდიდარი მუსიკალური ნაწარმოებების წყალობით: ჰიმნები, ვარიაციები, ტოკატები, საგალობლები... ბაროკოს პერიოდში დიდი მუსიკალური ფორმების აფეთქება მოხდა: ფუგები, ფანტაზიები, საგუნდო პრელუდიები და ვარიაციები. კლასიკურ პერიოდში საორკესტრო კომპოზიციის განვითარებამ ორგანის მიმართ ინტერესი გაანელა, მაგრამ რომანტიზმის ეპოქაში ორგანის მრავალმხრივმა ექსპრესიულობამ კიდევ ერთხელ შთააგონა კომპოზიტორები, რომ შეექმნათ ახალი და მრავალფეროვანი მუსიკალური ფორმები. ორგანისთვის შექმნილი კომპოზიციები მე-20 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ვითარდება და იხვეწება.

ორგანის აგებულება

ორგანი ყველაზე დიდი სასულიერო მუსიკალური ინსტრუმენტია, როგორც ზომით, ასევე წარმოებული ბგერების მრავალფეროვნებით. მისი მთავარი ნაწილებია: მილები, კლავიატურა და პედალი. ვერტიკალური ლითონის მილები დაწყვილებულია 3 ან 4 ჯგუფად თითო გასაღებისთვის, მათი რაოდენობა შეიძლება იცვლებოდეს 200-დან 30000-მდე. არსებობს ორი ძირითადი ტიპი: ფლეიტა (ლამელების გარეშე) და ლერნამი (მოქნილი ლითონის ან ხის ლამელებით). კონსოლი ორგანის ის ნაწილია, რომელიც შეიცავს კლავიატურებს, რეგისტრებს, პედალს და ინსტრუმენტის მუშაობისთვის აუცილებელ ყველა სამართავ კლავიშს. ხმოვანება მილებში შემავალი ჰაერის სვეტის წნევის ცვალებადობით წარმოიქმნება, იმის ანალოგიურად, როგორც ჩვენი ხმა გამოიცემა ამოსუნთქვის გზით. ძლიერი პოლიფონიური უნარი ანუ ერთდროულად მრავალხმიანობის წარმოქმნა ორგანს ყველა მუსიკალურ ინსტრუმენტს შორის უნიკალურს ხდის.



საგანგებო ჩანართი

რომელია ყველაზე დიდი ორგანიზაციები მსოფლიოში?

მსოფლიოში სამი უდიდესი ორგანიზაცია:

ატლანტიკ სიტი - ნიუ ჯერსი - საკონფერენციო დარბაზი - 33,114 მილით

ფილადელფია - პენსილვანია - უონამეიკერის დიდი უნივერსალი (!) - 28,604 მილით.

ვესტ პოინტი - ნიუ-იორკი - სამხედრო აკადემიის კადეტთა სამლოცველო (!) - 23 500 მილით, ყველაზე დიდი ორგანი რელიგიურ შენობა-ნაგებობაში.

გამონათქვამები ორგანიზაციების შესახებ

„ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ორგანი... ქარისა და კლდის, ჰაერისა და ფორმებისაგან შექმნილი ზეადამიანური ინსტრუმენტი. ჩვენს ეკლესიებში ორგანი ღვთაებრივ ხმას გამოსცემს, რადგან ის აკავშირებს შემოქმედის გონებას ადამიანის გონებასთან“ (იეჰუდი მენუჰინი, 1916-1999 წწ.).

„ორგანი, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი, ყველაზე მასიური, ყველაზე ბრწყინვალე ინსტრუმენტი, რაც კი ადამიანის გენიას შეუქმნია. ის მთელი ორკესტრია, გარკვეული თვალსაზრისით, კვარცხლბეკია, რომელზედაც სული დაივანებს, რათა შემდგომ სივრცეში აიჭრას და ფრენისას ათასგვარი წარმოსახვა შექმნას, დახატოს გზა, განვლოს უსასრულობა, რომელიც ცასა და მიწას ჰყოფს. რაც უფრო მეტად უსმენს პოეტი ამ დიად ჰარმონიებს, მით უფრო მეტად ხვდება, რომ მუხლმოდრეკილ ადამიანებსა და საკურთხევლის თვალისმომჭრელ სხივებში მიმალულ ღმერთს შორის, მინიერი გულის ასობით ხმას - მხოლოდ მათ - ძალუძს გადალახოს მანძილი და მოგვევლინოს შუამავლად, საკმაოდ ძლიერად, რომ ზეცამდე აიტანოს ადამიანთა ლოცვები“ (ონორე დე ბალზაკი - „ჰერცოგინია დე ლანჟე“).

„ორგანი ერთადერთი ინსტრუ-

მენტია, რომელზეც შესაძლებელია ნოტის საკმარისად დიდხანს დაყოვნება, რათა წარმოქმნას დროისა და მარადისობის შთაბეჭდილება“ (ოლივიე მესიანი).

„ჩემს თვალში და ჩემი ყურისათვის ორგანი ყველა ინსტრუმენტის მეფეა. მეტისმეტად ბევრი იმისთვის, რასაც ვაკეთებ, მეტისმეტად ცოტა იმისთვის, რისი გაკეთებაც შემიძლია“ (ვოლფანგ ამადეუს მოცარტი, წერილი მამისადმი, 1777 წლის 18 ოქტომბერი).

ლიტურგიის ორგანიზაციები

თუკი ესოდენ მნიშვნელოვანია ორგანის როლი, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ორგანზე დამკვრელი პირის მოვალეობაც. იყო ლიტურგიის ორგანიზაციები, გუშინდელის მსგავსად, დღესაც ნიშნავს ნამდვილად ლიტურგიის მსახურს, რაც „ყოველად არსებითია საკრებულოსთვის, ასევე ნიშნავს სპეციფიკური მსახურების შეთავაზებას მუსიკალური ანიმაციის კუთხით. ინსტრუმენტის ფლობის სათანადო გამოცდილების გარდა, მან უნდა იცოდეს და სიღრმისეულად შედიოდეს ლიტურგიის სულში, სულიერი მომზადებით და შინაგანი სიმდიდრით. უზრუნველყოს დღესასწაულების გამდიდრება სხვადასხვა ნაწილის ხასიათის

მიხედვით და ნაახალისოს მორწმუნეების ჩართულობა“. ცხადია, რომ ქრისტიანული რწმენისა და მისი არსის გათავისების გარეშე, ამ მუსიკალურ ფუნქციას სარწმუნოდ ვერ განახორციელებ. ამიტომ, აუცილებელია სულიერ და ლიტურგიულ მომზადებაზე ზრუნვა, იმისათვის, რომ ორგანიტმა მორწმუნე კრებულთან ერთად შეიგრძნოს ლიტურგია, მთელი თავისი ცოდნა ჩადოს (პროფესიული უნარი) იმაში, რომ უფლის სახელით შეკრებილ ზემის ნამდვილ გმირს ახსოვდეს „mirabilia Dei“ და ადიდოს ღმერთი. მადლიერება გვმართებს მათ მიმართ, ვინც წლების მანძილზე სთავაზობდა ამ მსახურებას ჩვენს საკრებულოებს, მადლობა დიეგო ბონატოს, თანაშემწე ფედერიკო მანსტრელისთან ერთად და ჩვენს ეპისკოპოსს ამ საჩუქრისათვის!

მადლობა, რამეთუ ამ მუსიკალური ინსტრუმენტის მეშვეობით თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების ეკლესია, დიადი წარსულის კვალდაკვალ, იქნება უფლისადმი ლოცვაში მყოფი ერთსულოვანი და სტუმართმოყვარე, სამაგალითო და მიმზიდველი, ლაღი და გულმხურვალე სამრევლო ჩვენი დედაქალაქის ცენტრში.



ღმერთმა აირჩია აბდულა



„სახარების სიხარული აღავსებს მათ გულებსა და ცხოვრებას, ვინც ხვდება იესოს“ (პაპ ფრანცისკეს სამოციქულო ეპისტოლე *Evangelii gaudium*, 1).

აბდულას მთავარი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ქრისტიანი მოექცია ისლამურ ფუნდამენტალიზმზე. ის იყო სალაფაითის, ისლამის რადიკალური განშტოების, მიმდევარი მუსლიმი და სძულდა ყველაფერი, რაც ქრისტიანებსა და მათ რელიგიას შეეხებოდა. ყოველთვის, როცა აბდულა ხვდებოდა ქრისტიანს, უქადაგებდა მას თავის სარწმუნოებას და ამხელდა ქრისტიანთა ყველა შეცდომას ისლამის თვალსაწიერიდან. თუმცა აბდულას ამოუხსნელი რჩებოდა ერთი რთული კითხვა: დაიმკვიდრებდა თუ არა იგი ადგილს სამოთხეში, როგორც ამას მისი რელიგია ამტკიცებდა?

ერთ დღეს აბდულა ისევ შეხვდა ქრისტიანს. ჩვეულებისამებრ, დაუნყო მას ქადაგება და მოუწოდა გამხდარიყო მუსლიმი. „ნაიკითხე ბიბლია, - უპასუხა კაცმა, - არ მჭირდება ღმერთის სხვაგან ძიება. მან მიბოძა მარადიული სიცოცხლე“.

მარადიული სიცოცხლე - ამ სიტყვებმა მოულოდნელად საოცარი სიმშვიდე მოუტანა აბდულას და ბიბლიის გაცნობის სურვილი აღუძრა. იგი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. თავიდან პასუხებს ყურანში ეძებდა. მას ძალიან სჭირდებოდა სიტყვა, ფრაზა ან რაიმე ნიშანი, რომელიც დაარწმუნებდა, რომ გადარჩებოდა.

აბდულამ მთელი ღამე ძიებაში გაატარა, მაგრამ ვერაფერი იპოვა ისეთი, მარადიულ სიცოცხლეს რომ ჰპირდებოდა, თუნდაც ისეთ კარგ მუსლიმს, როგორც თავად იყო. მოუსვენრობამ შეიპყრო და უფრო და უფრო შფოთავდა. სასონარკვეთილმა, რამდენიმე ღამის შემდეგ, აიღო ბიბლია და კითხვას შეუდგა. ნაკითხულმა იგი გააოგნა - იმან, რომ იესო ჯვარს ეცვა და მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის, და რომ სწორედ ამის წყალობით ებოძა კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე.

აბდულას მეტის ცოდნა სწყუროდა. გული უცნაურად უთრთოდა და ყურადღებით აკვირდებოდა ბიბლიაში ნაკითხულ სიტყვებს... შემდეგ ადგა და იმ ქრისტიანისაკენ გაეშურა, უწინ რომ შეხვდა ხელში ჯვრით... უთხრა, რომ მეტის გაგება სურდა იესოს შესახებ. ოთხი გრძელი ღამე გაატარეს მათ საუბარში... და რადიკალ მუსლიმ აბდულას გულში ქრისტე შემოვიდა.

დღეს აბდულა მორწმუნეთა საიდუმლო ჯგუფს მიეკუთვნება და მათთან ერთად იზრდება რწმენაში. მთელ მსოფლიოში მათ მსგავს ქრისტეს ფარულ მონაფეებს, თუკი აღმოაჩენენ, ემუქრებათ თავისუფლების დაკარგვის, საკუთარი ოჯახების მიერ უარყოფის, წამების ან თუნდაც სიკვდილის საფრთხე, მაგრამ ისინი არაფერს უშინდებიან და ამ რთულ პირობებშიც კი განაგრძობენ თავიანთი რწმენის გაზიარებას იმ იმედით, რომ ასეთ საიდუმლო მორწმუნეთა რიცხვი გაიზრდება.

მდინარე რიონის ნაამბობი



ველოდი მათ გამოჩინას, ღმერთო, როგორ ველოდი! ნეტავ რად აუკრძალა წელს ეპისკოპოსმა იოანემ ჩემი ქალაქის კათოლიკეებს 8 დეკემბერს სალოცავად მისვლა იმ ეკლესიაში, რომელიც ოდითგანვე მათ ეკუთვნოდათ? რა მშვენიერია თქვენი საგალობლები, გრიგორიანული „ავე მარია“, თქვენი ლოცვები; ყველაფერი მცირე დროში ხდება, მაგრამ რამხელა რწმენა, რამხელა შვებაა ჩემთვის, გაუჩერებლად რომ მივედინები ქვებსა და წყალში გადაყრილ ნარჩენებს შორის! ვიცოდი, რომ ერთი კვირით ადრე შეეცადა მამა გაბრიელე ეპისკოპოსთან ტელეფონით დაკავშირებას, მაგრამ უშედეგოდ; ფიქრობდა, ისივე, როგორც მე, რომ პრობლემები არ შეექმნებოდა, რაკილა ეპისკოპოსმა იოანემ სიტყვა მისცა: „რასაც წლების განმავლობაში აკეთებდით, ეპისკოპოს კალისტრატეს ნებართვით, შეგიძლიათ იგივე გააგრძელოთ“. ჩემდა სასიხარულოდ, შარშან მათ შეძლეს ლოცვა ღვთისმშობლის ქანდაკების წინაშე; ამჯერად უპასუხოდ დატოვება იმაზე მიანიშნებდა, რომ რალაც იცვლებოდა. და აჰა, 8 დეკემბრის დღით, საბოლოოდ, ჩემს ტალღებს გადაურა მისმა ხმამ, გაისმა სიტყვები მშვიდი და წინასწარ მოფიქრებული: „მინდოდა პირადად მელაპარაკა, მაგრამ ჯანმრთელობის გამო ვერ მოხერხდა, - გავიფიქრე: ნუთუ ასე მძიმედ იყო? ამის შესახებ არავის უთქვამს, - თუმცა დოგმატურ მიზეზთა გამო სალოცავად წასვლა შეუძლებელია: უბინოდ ჩასახვის დოგმას მართლმადიდებელი ეკლესია არ აღიარებს და ლოცვის თქვენეული გზა ჩვენთვის მიუღებელია“. ძალიან მძიმე იყო ეს სიტყვები, უფრო მძიმე, ვიდრე თეთრი ქვის უცნაურ ფიგურებში გამოკვეთილი ჩემი სარეცელი. სამწუხაროდ,

ვერც მამა გაბრიელეს გაცვებამ და უხერხულობამ მოიტანა შედეგი: „მეუფე, დოგმის ფორმულირება არც ისე შორსაა იმ აზრისაგან, რაც მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს ღვთისმშობლის შესახებ, ხოლო რაც შეეხება ლოცვას, მხოლოდ ინდივიდუალური ხასიათისაა, სახარებისეული ლოცვები და გალობები; ევროპაში ხომ ლოცულობენ მართლმადიდებლები კათოლიკურ ეკლესიებში...“, და ისევ კატეგორიული სიტყვები: „თქვენ გაქვთ თქვენი ეკლესიები და ილოცეთ იქ...“; თავს ძლივს ვიკავებდი, მხოლოდ უიმედოდ ვყლაპავდი ნერწყვს: იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ქუთაისში ყველამ იცის (მათ გარდა, ვისაც ვითომ არ ახსოვს) რომ ეს ეკლესია, რომელსაც ასე ველამუნები, გამოჩენის დღიდან კათოლიკური იყო, და რომ ახლა მხოლოდ სამლოცველო არსებობს ნიუ-პორტის ქუჩაზე, სადაც კათოლიკე მრევლი იკრიბება; კარგად მახსოვს - მიუხედავად იმისა, რომ უკვე მითოლოგიასავით ძველი ვარ - მკაფიოდ გამოხატული წყევლა, რომელიც იმერეთის მეფე სოლომონმა მიანერა ბოლოში იმ საბუთს, რომლის საფუძველზეც ებოძა ეს მიწა მამებს, მათ საყურადღებოდ, ვინც მის წართმევას შეეცდებოდა; განა შეიძლება დავივიწყოთ და არ გვეშინოდეს? ეპისკოპოსი კი, სულ უფრო მეტად კატეგორიულია: „ახალი კარიბჭე განზრახ აშენდა იმისთვის, რომ თქვენ, კათოლიკეები, შიგ არ შეხვიდეთ და, ვინ იცის, რა უბედურება არ დაატრიალოთ, - კიდევ კარგი, გულღიად ლაპარაკობს... საინტერესოა, საიდან მოიპოვეს თანხა გადასახდელად - ამიტომაც... ეკლესია დაიკეტება“. „საწყალი მამა გაბრიელე“, - გავიფიქრე, ანაზღაურლად კი ეს დიპლომატიური მარგალიტი მოვისმინე: „ახლა,

როცა ქუთაისის საპატო მოქალაქე ხართ, რატომ არ ითხოვთ ხელისუფლებისაგან მიწას ახალი ეკლესიის ასაშენებლად?”

ლიმილი აქ ალბათ სწორი რეაქცია იქნებოდა! ასეა თუ ისე, ფაქტია, ეკლესია დაიკეთებოდა. დათრგუნვილი ვფიქრობდი მამა გაბრიელესა და მის მორწმუნეებზე, ასევე მეუფე პაპოტოზე, ეპისკოპოს იოანესთან დასაკავშირებლად ბოლო იმედს მამა გიორგი ზვიადაძეზე რომ ამყარებდა, თუმცა ამ უკანასკნელმაც უარი მიიღო; ჟანგიან საპარსს ჰგავდა ეს უარი, კიდევ უფრო მეტად რომ აზიანებს ქრილობას, რომელიც 2022 წლის ოქტომბერში ფატიმის ღვთისმშობლის ქანდაკების ვიზიტისას გაჩნდა: „ვიდრე მამა გაბრიელე არ მოიხდის ბოდიშს იმის გამო, რაც მან მართლმადიდებელ მღვდლებს უთხრა, არაფერი შეიცვლება“.

თუ სწორად მახსოვს, ამ ამბის მომსწრე ნუნციუსს ჟოზე ბეტენკურის აზრით, კათოლიკე ეკლესიის მიმართ ბოდიში ეპისკოპოს იოანეს უნდა მოეხადა და არა მამა გაბრიელეს; ღმერთო, რა გაბედულია ნუნციუსი: ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა ის, ვისაც ესმის საქმის ნამდვილი არსი! სიმართლე რომ ითქვას, თუკი ბოდიშის მოხდაზე ვსაუბრობთ, ბოდიში სწორედ იმ ადამიანებს უნდა მოეხადათ, რომლებიც იმ მომენტში იქ იმყოფებოდნენ; ხალხი მხოლოდ იმას ამბობდა, რასაც ხედავდა: მღვდლები და ახალგაზრდები, ცხადია, არ ლოცულობდნენ ეკლესიის წინ, რომელიც იმ დროს, ჩვეულებრივ, უკაცრიელი და დაკეტილია. რა კარგად მახსოვს ეს ყველაფერი, ბნელი ღამის მიუხედავად! და მამა გაბრიელემაც მხოლოდ ის გაიმეორა, რაც ხალხმა თქვა და შენიშნა... მეც შემძლია ბევრი სხვა არასახარბიელო ფაქტის მოყვანა! იმ დღეს კი ნამდვილად დაკეტეს ეკლესიის ახალი კარიბჭე „კარანტინის“ მიზეზით, როგორც ეკლესიაში შესვლის მსურველებს აუწყებდნენ. მეორე დღეს ისევ გააღეს და გამვლელისაგან შევიტყვე, რომ დაკეტილი იყო არა კარანტინის გამო, არამედ კათოლიკეთა ლოცვის ხელშესაშლელად, მართლმადიდებელი მორწმუნეები კი მეზობლების ეზოს გავლით შედიოდნენ ეკლესიაში. ამ სავალალო სიტუაციის მოსაგვარებლად იქნებ უპრიანი ყოფილიყო, ეპისკოპოს იოანეს ერთხელ და სამუდამოდ დაენერა ხარების ეკლესიის კარიბჭეზე: „კათოლიკეთა შესვლა აკრძალულია!“, ისევე როგორც აკრძალულია შესვლა ძაღლებისთვის, მანქანებისთვის, ან როგორც მდინარეში ნაგვის გადაყრა? დაე, ასეც მოიქცეს, თუკი სურს თანმიმდევრული იყოს თავის ყველა ახირებაში! მსმენია, რომ მეუფე იოანე ის ეპისკოპოსია, ვინც ყველაფერს აკეთებდა, რომ ხელი შეეშალა რუსთავის ახალი კათოლიკური ტაძრის მშენებლობისთვის, ან გაეჭიანურებინა პროცესი, ტერიტორიის შეცვლასაც კი ითხოვდა, რასაც მიაღწია კიდევ; ალბათ მაშინაც მიშობდა, რომ მისი ეკლესია, რომლის მახლობლადაც

ახალი ტაძარი უნდა აშენებულიყო, „დაინფიცირდებოდა“ და „კარანტინის“ გამო დაიკეთებოდა. და თუ მართლაც ასეა, ძალიან მაინტერესებს, რატომ აირჩია საპატრიარქომ მაინცდამაინც იგი მეუფე კალისტრატეს მემკვიდრედ მისი გარდაცვალების შემდეგ? ნუთუ ამ საეპისკოპოსო კათედრისთვის ღირსეული ადამიანის გამოძებნა ასე რთულია? დიას, ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, რომ ბევრი აღიარებს მის ერუდიციას; როგორც ჩანს, ამას თვითონაც აცნობიერებს. რამხელა უნარია! თუმცა არ მეგონა, რომ მეუფე კალისტრატე კათოლიკურ და მართლმადიდებლურ დოგმებს ვერ არჩევდა; შეიძლება ამიტომაც დართონება კათოლიკეებს, ელოცათ მართლმადიდებლურ ეკლესიაში? ჯოჯოხეთში მოხვედრის საფრთხეს ხომ არ შეუქმნიდა თავს? რა თქმა უნდა, არა, თუკი არ სურდა ღვთისმშობლის უბინოდ ჩასახვის ქანდაკების გატანა ეკლესიიდან, და ამას ნამდვილად ვგრძნობდი, მისგან განსხვავებით, სხვები უკვე ფიქრობდნენ ამაზე.

არ შემძლია არ ვთქვა (თუნდაც მავანს არ მოსწონდეს), რომ ქუთაისში არიან ისეთებიც, და არა მხოლოდ კათოლიკეთა შორის, გარდაცვლილ ეპისკოპოს კალისტრატეს რომ მისტირიან; ეს კი ყველაფერზე მეტყველებს! რა ვიფიქრო, რა ვთქვა მე, ვისაც ამდენი მინახავს და მსმენია, რომ ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა? ყველაზე ტრაგიკული ამ ფაქტში ესაა: „ახლა რა უნდა ქნან კათოლიკეებმა?“. მოითმინონ? ახალგაზრდები მიდიოდნენ თეთრ ხიდზე, თან ათასობით შეტყობინებას ათვალერებდნენ ტელეფონში, ერთ-ერთმა წამოიძახა: „ნახეთ, რას წერს კათოლიკე ეპისკოპოსი პაპოტო ფეისბუქზე: „30 წელია ვითმენ და აღარ მინდა მეტის მოთმენა“. მასთან რომ შემახვედრა, ვეტყოდი, რომ მართალია“. სრულიად მოულოდნელად, მიწის სიღრმიდან, სადაც წყლები თავს იყრინა, „რომაული“ აქცენტით აზვირთდა სათქმელი: „მისწერეთ კათოლიკური ეპარქიის ყველა ეპისკოპოსს, სადაც ქართველ მართლმადიდებლებს თავიანთ სარგებლობაში აქვთ კათოლიკური ეპარქიის მიერ დროებით გადაცემული ან ნაჩუქარი ეკლესია თუ სამლოცველო, დაწყებული ჩემი მარადიული ქალაქიდან, ყველა ეკლესიის თავი და დედა რომ არის, აღწერეთ ვითარება, რაშიც დღეს ჩავარდნილა კათოლიკე ეკლესია საქართველოში, მათ შორის, ეკლესიათა დაბრუნების სატივივარი და შეჩერდეს შენობების გადაცემა მათ სარგებლობაში“. ხომ არ შემეძლო უპასუხოდ დამეტოვებინა მდინარეთა სათავე ტიბრი და ანაზდეულად ვუპასუხე: „შევეცდები“, არ ვიცოდი, რა მეთქვა და ესლა ვუთხარი: „გპირდები, გავარკვევ, თუ არის მზად ეს წერილები სხვადასხვა ენაზე: იტალიურად, ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, ესპანურად და ეს უკანასკნელი ფაქტიც თუ აღწერეს, და როგორ გავგზავნოთ?“ კიდევ უფრო კატეგორიულად განმიცხადა ტიბრმა: „პრობლემა არაა, ბატონო

ჩემო; მე ვიქნები ფოსტალიონი, ევროპის ყველა იმ მდინარის გავლით, რომელსაც ვიცნობ. სიამოვნებით მიიტანენ ყველა იმ ამბავს, რომელიც სამართლიანობას ემსახურება! მდინარე მტკვრის მეგობარ წყლებს, რომელთათვისაც ნაცნობია დედაქალაქის ამბები, ვკითხავ, რაოდენ სასარგებლოა მისი გაგზავნა ვატიკანში, რადგანაც ვიცნობ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ წმიდა საყდრის პოზიციით უკმაყოფილო კათოლიკეებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ არასწორი და უშედეგოა ეს პოზიცია საქართველოს კათოლიკეთათვის. მე, ერთ პატარა მდინარეს, სხვა რა შემიძლია? ყველაფრის გაკეთებას როდი შევძლებ“; მე განვაგრძე: „დღეს საქართველოს მთავრობა და რელიგიური ხელისუფლება თანაბრად ზეიმობს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას; შეძლებენ კი გონივრულად გამოიყენონ ეს „ოქროს საწმისი“, რათა საქართველოში აღდგეს სამართლიანობა კათოლიკე ეკლესიის მიმართ?“

აჰ, ერთიც დამავინწყდა; არადა, როგორ შემეძლო ტიბრის რჩევა-დარიგების დავინწყება, რომ პირველი ნაბიჯი პრემიერ-მინისტრის მხრიდან იქნებოდა პასუხის გაცემა კარდინალ პაროლინის 2023 წლის 27 იანვრით დათარიღებულ წერილზე! ერთი ფრანგული მდინარე, სახელს ვერ ვიხსენებ, ამ ჩურჩულით საუბარმა გაიტაცა და მე, ჩემი დამტვრეული ფრანგულით მოპასუხეს, აქ, „ფრანგულ“ უბანში, მამხნევებდა, რომ კათოლიკეებისთვის მეთქვა, რაც შეიძლება დროულად მისწერონ საერთაშორისო ორგანიზაციებს და გააგებინონ, რომ კათოლიკე ეკლესია საქართველოში დამცირებულია... კარგია მეგობრობა, მაგრამ როგორ შევძლო ამისი გაკეთება? ღამეა მრჩეველი.

მომდევნო დღეს, კვლავაც გაოგნებულმა, უფრო მეტად, ვიდრე მაშინ, როცა კავკასიონზე თოვლი დნება ან წვიმით ვისეტყვები, როგორც დღეს ამბობენ, თუმცა ამ მშვენიერ, ნათელ დღეს სიხარულით მოვისმინე ეკლესიაში სალოცავად შესული რამდენიმე კათოლიკეს საუბარი: „დღესასწაულმა, მიუხედავად ეპისკოპოსის გაოცებისა, მაინც მშვენივრად ჩაიარა, წირვა მეუფე ჯუზეპემ აღავლინა, ვატიკანის საელჩოს წარმომადგენელ ალექსანდრესთან, კამილიელ მამა პავლესთან და ასევე რამდენიმე მართლმადიდებელ მორწმუნესთან ერთად“. მეორეც: „ძალიან კმაყოფილი დავრჩი „მეგობრული საღამოთი“, სადაც გაიხსენეს იმიერში გადასული რამდენიმე პიროვნება, რომლებიც ბოლო წლებში მრავალმხრივ თანამშრომლობდნენ ჩვენთან, მონაწილეობდნენ ჩვენს საქველმოქმედო და კულტურულ აქტივობებში, ჩვენს პრობლემებს იზიარებდნენ; მათი ოჯახის წევრებს სამადლობელი სიგელები გადაეცათ“.

„ეს არჩევანი, - განაგრძო სხვამ, - ბევრისთვის ადვილი როდია, მათი მადლიერნიც უნდა ვიყოთ, სულ ახლახან გარდაცვლილი ქეთის, რადიო „ძველი ქალაქის“ დირექტორის; ეთერის, დაარსების დღიდან „კარიტასის“ ამბულატორიული კლინიკის ფარმაცევტის; თემურ ძიძიგურის, ცნობილი ექიმის, მხატვრის, მომღერლის, კომპოზიტორის და ვასიკოსი, ასევე მომღერლისა და კომპოზიტორის, ჩვენს ქალაქში დაფასებული ადამიანების... როცა მესმოდა ჩემთვისაც ასევე ძვირფასი სახელები, სიხარულისგან ვკანკალებდი; საბოლოოდ, კარგი ამბავიც მოხდა; ძლიერი ემოცია! ვფიქრობდი, ალბათ ერთ მშვენიერ დღეს მეც ამგვარ პატივს მომაგებდნენ! „ეს იყო განსხვავებული გზა, - განაგრძობდნენ ისინი, - რომ ჩვენი გულითადი მადლობა გვეთქვა მათთვის, ვინც უკეთესი მომავლისთვის იღვწის“. რა კარგი იყო, ხონის მეორე სკოლის ბიჭების ჯგუფმა რომ გაბედულად წარმოადგინა იტალიისადმი მიძღვნილი ჯაკომო ლეოპარდის ლირიკა (დანერვილი 1818 წელს, 20 წლის ასაკში): „ო, ჩემო სამშობლო...!“ და ის პერსპექტიული ახალგაზრდა მევიოლინეები და მუსიკალური კვარტეტი: რა მშვენიერი ჰანგები, რა დიდი ნიჭიერება! მაგრამ ვინ მოიწვია ისინი? ოჰ, არ იცი? თავად მერიამ გამოგზავნა... რა კარგია, რაღაც უმჯობესდება...“ გამომშვიდობებისას ეს სიტყვებიც მოვისმინე: „რა გაბედულები არიან ის მართლმადიდებელი მღვდლები, რომლებიც მხარს უჭერენ ჩვენი კათოლიკე ეკლესიის არსებობას საქართველოში და მიტაცებულ ეკლესიათა დაბრუნებას ითხოვენ!“ ოხვრით აღმომხდა: „ნეტავ უფრო მეტი ყოფილიყო მათი მსგავსი მღვდელი საქართველოში! როგორ მინდოდა მთელი ხმით მეყვირა, დანმარება მეთხოვა ყველა იმ წყლისთვის, ვინც ჩემი მოვალეა და ვისაც ვუყვარვარ: არ დაუშვათ, რომ ეს ქალაქი კათოლიკეთა გარეშე დარჩეს, რაც შეიძლება მალე დაუბრუნეთ ეკლესიები და ყველაფერი გაცილებით უკეთესი, მეტად ადვილი, მეტად ღამაზი გახდება... სახარება უფრო სარწმუნო იქნება, დოგმები ნაკლებად წინააღმდეგობრივი, გალობები უფრო საგუნდო, ხოლო კათოლიკეებს ვეტყვოდი: გააგრძელეთ ცხოვრება ამ ქალაქში, იყავით ცოცხალი მოწმენი თქვენი მამა-პაპის გზისა... ვიცი, არ მკითხავთ, საიდან გავიგე, რომ ეპისკოპოსმა იცის ამ თქვენი ვალდებულების შესახებ და რომ ეს ასევე თქვენი საკრებულოს განსაკუთრებული ვალდებულება უნდა გახდეს, იმის პასუხად, რაც მან ყოველი სამრევლოსაგან მოითხოვა ამ წლისათვის. ჰო, კიდევ მადლობა გუშინდელი საღამოსთვის, გამასპინძლებისა და იმ ტორტისთვის, ჩვენს მეუფე იოანეს რომ გაუგზავნეთ. სამწუხაროა, დაგავინწყდათ, „სამარხვო“ რომ უნდა ყოფილიყო: შემდეგში გაითვალისწინეთ; არ იდარდოთ, აუცილებლად გაპატივებთ“.

მისი ერთ-ერთი მსმენელი



სიყვარული, რომელის გადალახავს ყველა ბარიერს

ლორენა და სიმონე, დაუნის სინდრომის მქონე ორი ახალგაზრდა, 13 წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს და გვიჩვენეს, რომ შეუძლიათ ხანგრძლივი და პასუხისმგებლობით სავსე ურთიერთობა. მათმა სიყვარულმა გაუძლო სიმორეს, მოგზაურობებს ბერგამოდან რომში და პირიქით, ასევე მრავალ სირთულეს. საბოლოოდ, ა. წ. 3 ივნისს, ლორენა კიეზამ და სიმონე სკარინიმ - ტრისომია 21-ის მქონე პირებმა - თავიანთი თანხმობა განაცხადეს სანტ'ალესანდრო ვილონგოს სამრევლოში, ბერგამოს რაიონში, ლორენას სახლში რამდენიმე წლიანი თანაცხოვრობის შემდეგ. მონმედ მსახიობი ალესიო ბონი ჰყავდათ, წარმოშობით სარნიკოდან. ის ლორენას დედას, ლილიანა დუჩის, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გოგონა მხოლოდ 7 წლის იყო, დაპირდა, რომ შეასრულებდა ამ ვალდებულებას. ახლა ლორენა 31 წლისაა და გასულ 21 მარტს, დაუნის სინდრომის მქონე პირთა მსოფლიო დღეს, facebook-ის პროფილზე დაწერა: „სიყვარული არ განასხვავებს“, შემთხვევით ისარგებლა და სიმონესთან თავისი

ქორნილის შესახებაც საჯაროდ განაცხადა: „ჩვენი ოცნება სიყვარულზე ახდა“. გრძნობა წლების განმავლობაში გამყარდა და გაიზარდა: ერთმანეთს შეხვდნენ ბარსელონაში, In&Out ჰოსტელში, 2010 წელს, სამკვირიანი სამუშაო სტაჟირების დროს, რომელიც ორგანიზებული იყო AIPD-ის (დაუნის სინდრომის მქონე პირთა იტალიური ასოციაცია) მიერ ევროპული პროექტის - „გამოსცადე შენი თავი!“ ფარგლებში. მას შემდეგ ურთიერთობა არასოდეს შეუწყვეტიათ. ლორენას ადრე სხვა შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ დარწმუნებული არ იყო მის გრძნობებში. „სამაგიეროდ, სიმონე ყოველდღე ურეკავდა და მის ამბებს კითხულობდა, - იხსენებს ლილიანა, ლორენას დედა, - ისინი ყოველდღიურად საუბრობდნენ სკაიპით, ძლიერ განიცდიდნენ ერთმანეთის ნახვის სურვილს. ამკარა იყო, რომ სერიოზულად სურდათ ურთიერთობის გაგრძელება. ამიტომაც ლორენას გაყვევით რომში, რათა შეეხვედროდით სიმონეს, რომელიც შვიდი წლით უფროსია მასზე და გაგვეცნო მისი ოჯახი“. ლილი-

ანა თან ახლდა ახალდაქორწინებულებს თაფლობის თვეშიც, საბერძნეთის კუნძულების გარშემო მოგზაურობისას: „ისინი ძალიან ბედნიერები არიან. მე მათ თავისუფლებას ვაძლევს, დაე, დაუშვან შეცდომები, მთავარია, დამოუკიდებლად შეძლონ გადაწყვეტილებების მიღება, შესაძლოა, ჩვენგან განსხვავებული. ხანდახან ჩვენ, დედებს, გვემინია და მათ საზღვრებს ვუწესებთ, მაგრამ როცა შვილებს ბედნიერებს ვხედავთ, ჩვენც ბედნიერები ვართ“, - შენიშნავს იგი. ლილიანა ხედავდა, როგორ მყარდებოდა წყვილის ურთიერთობა დღითიდღე: „მათ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ამისთვის. როდესაც ლორენა დილით საკონდიტრო მაღაზიაში მუშაობს, სიმონე მას სახლის დალაგებაში ეხმარება. ისინი მოხალისედაც მუშაობენ სამრევლოს ორატორიუმის ბარში“.

თავისი გამოცდილება ლორენამ და სიმონემ ასე განსაზღვრეს: „სიყვარული ყველა ბარიერს და საზღვარს გადალახავს“. „ვიმედოვნებ, რომ მენტალიტეტი შეიცვლება: დაუნის სინდრომის მქონე ორი ადამიანის დაქორწინება საზოგადოებისთვის არ უნდა იყოს უცნაური ან აკრძალული. ჩვენ მათთან ერთად შევძელით ამ ოცნების დაჯერება, რაც რეალური გახდა, რადგან მათ გვერდში დაუდგნენ არა მხოლოდ თავიანთი ოჯახები, არამედ ასოციაციები და მრავალი ადამიანი, ვინც წვლილი შეიტანა ამ დამოუკიდებლობისა და სიყვარულის ზრდის პროცესში, - აღნიშნავს ლორენას დედა, - შემდეგ ლორენა ცეკვამ გაიტაცა, სიმონემ გაიზიარა თავისი საყვარელი მეორე ნახევრის ეს გატაცება და ისინი ერთად გამოდიოდნენ შეჯიბრზე ცეკვის აკადემიაში - Dance Academy Asd, მოიპოვეს იტალიის ჩემპიონების ტიტული მერენგესა და ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში. გასული წლის 1-ელ ოქტომბერს მათ ასევე შეასრულეს merengue pas de deux სატელევიზიო გადაცემაში „Tú sí que vales“.

„ლორენასა და სიმონეს მშობლებს მტკიცედ სჯეროდათ მათი სიყვარულის და ეს ბავშვურ თამაშად არ მიუჩნევიათ, როგორც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება; პირიქით, გვერდით დაუდგნენ მათ და მხარი დაუჭირეს ოცნების განხორციელებაში. ეს ამბავი ბევრს გვეუბნება თვითგამორკვევაზე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შშმ პირთა ირგვლივ არსებული ქსელი აქტიურად ჩაერთვება და თავისი კომპეტენციით დაეხმარება მათ“, - განაცხადა ჯანფრანკო სალბინიმ, ეროვნული Aipd-ის პრეზიდენტმა. მან გაიხსენა ტრისომია 21-ის მქონე დელეგაციის წევრთა ბოლო შეხვედრაზე როგორ დააყენა ასო-

ციაციის ყურადღების ცენტრში შუამდგომლობა, „და ცალსახად მოითხოვეს ოპერატორებისა და ოჯახების მხარდაჭერა თავიანთი საჭიროებების რეალიზაციისათვის. მოკლედ, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები მზად არიან მონაწილეობისათვის და ჩვენი ვალია, ყოველმა ჩვენგანმა თავისი წვლილი შეიტანოს და მხარი დაუჭიროს მათი მოთხოვნების რეალიზებას“.

„ეკლესიის მხრიდან არანაირი დაბრკოლება არ არსებობს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს შორის ქორწინების საიდუმლოს აღსანიშნავად, ოღონდ მოსამზადებელი პროცესი სერიოზულად უნდა წარიმართოს, რათა ამ ახალგაზრდებმა, შეძლებისდაგვარად, გააცნობიერონ წმიდა საიდუმლოს მნიშვნელობა. დარწმუნებული ვარ, რომ მღვდელმა, რომელმაც ამ ახალგაზრდებს ჯვარი დასწერა, კარგად გამოიკვლია ეს შემთხვევა, შეეცადა მათი სურვილის დაკმაყოფილებას და დაეხმარა მათ ქორწინების საიდუმლოს შეცნობაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველი სიტუაცია კონკრეტულად უნდა იქნეს განხილული, იმის მიხედვით, რასაც ასწავლის Amoris laetitia, და უნდა აღინიშნოს ამ ორი ახალგაზრდის მიერ მტკიცედ არჩეული გზის დადებითი მნიშვნელობა საზოგადოებისთვის, მათი, ვინც ახლა არ უნდა მივატოვოთ“, - აღნიშნავს **მამა მარკო ვიანელი**, CEI-ის ოჯახზე პასტორალური ზრუნვის ეროვნული ცენტრის დირექტორი, რომელიც ასევე კანონიკური სამართლის ექსპერტია.

იგივე განაცხადა პატრიცია დანესიმ, ეროვნული ორგანიზაცია Aipd-ის კოორდინატორმა, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლორენასა და სიმონეს ქორწინება მასმედიისთვის სიახლეს წარმოადგენდა, სწორედ იმიტომ, რომ „იდეა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს შორის ქორწინების შესაძლებლობისა ჯერ კიდევ არაა აღიარებული, ის, რომ მათ სურთ და იციან, როგორ გამოხატონ თავიანთი ემოციური მხარე და დაამყარონ ღრმა და ხანგრძლივი ურთიერთობა. ჩვენს ასოციაციას ამასთან ყოველდღიური შეხება აქვს, იმდენად, რომ წლების განმავლობაში სთავაზობს განათლების კურსებს და დამოუკიდებლობას აჩვენებს დაუნის სინდრომის მქონე გოგო-ბიჭებს. ლორენა და სიმონე პირველი წყვილი როდია, რომელიც AIPD-ში გაიზარდა და დაოჯახდა: რომაელები - მარტა და მაურო უკვე რვა წელზე მეტია დაქორწინდნენ, არიან სხვა წყვილებიც, რომლებიც ფიქრობენ ქორწინებაზე. ეს უნდა იყოს არა სიახლე, არამედ ყოველდღიურობა“.

ლაურა ბადარაკი



„კარნავალის ვარდები“

ყოველ ქვეყანასა თუ რეგიონს აქვს თავისი ადათ-წესები, დაკავშირებული კარნავალთან, რომელიც სრულდება დიდმარხვის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. მათ შორის, განსაკუთრებული ადგილი კულინარიულ ტრადიციებს უჭირავს. მაგალითად, ასიზური სამზარეულოს ერთ-ერთი პოპულარული და ადვილად მოსამზადებელი ნამცხვარია ე.წ. „კარნავალის ვარდები“.

ამბობენ, რომ მისი მომზადების რეცეპტი ცნობილი იყო ჯერ კიდევ წმიდა ფრანცისკე ასიზელის დროიდან და საგულდაგულოდ ინახებოდა მის ძმათა მონასტერში. როგორც იტალიელი კულინარიის ექსპერტები ამტკიცებენ, ამ მონასტრის ბიბლიოთეკაში შენახულ უძველეს წიგნებში შესაძლებელია იპოვოთ „კარნავალის ვარდების“ რეცეპტი, რომელიც ნახსენებია როგორც კულინარიულ წიგნებში, ასევე დიდმარხვის დაწყებასთან დაკავშირებულ ღვთისმეტყველურ განსჯაში.

ინგრედიენტები:

- 150 გრ ფქვილი
- 120 მლ ცხიმისანი ნაღები
- 1 სუფრის კოვზი შაქარი
- 2 სუფრის კოვზი ლიმონის წვენი
- გახეხილი ლიმონის ცედრა
- 1 ჩაის კოვზი ვანილის ექსტრაქტი
- არაქისის ზეთი (შესაწვავად შესაძლებელია ჩვეულებრივი, სამარხვო ზეთის გამოყენება)

მოხარშული კრემი (გემოვნებით)
ალუბალი საკუთარ წვენში (შეიძლება გამოიყენოთ როგორც დაკონსერვებული, ისე გაყინული)
შაქრის მინანქარი

მომზადების წესი:

შეურიეთ ერთმანეთს ფქვილი, ნაღები, შაქარი, ლიმონის წვენი და ცედრა, დაუმატეთ ვანილი. მიღებული ცომი უნდა იყოს ერთგვაროვანი და ხელზე არ ენებებოდეს. გაახვიეთ ცომი საკვებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ქალაღში და შედგით მაცივარში ნახევარი საათით; შემდეგ გააბრტყელეთ რაც შეიძლება თხლად და მისგან გამოჭერით არაუმეტეს 5 სმ. დიამეტრის მრგვალი ფორმები, მოაჭერით მათ კიდევ ისე, რომ მიიღოთ პატარა ფორმები. ამისთვის შესაძლებელია გამოიყენოთ დანა გოფირებული პირით. შემდეგ ორ-ორი მრგვალი ფორმა ერთმანეთს დაადეთ და შუაში ოდნავ ჩაალრმავეთ. ფორმები რომ ზუსტად მიემარგონ ერთმანეთს, შეგიძლიათ წინასწარ დაასველოთ ქვედა ფენის შუაგული. ღრმა ტაფაში ჩაასხით ზეთი, აადუღეთ და შემდეგ ხის კოვზით სათითაოდ მოათავსეთ ვარდის ფორმის ნაჭრები. რამდენიმე წამში ისინი შენითლდებიან, ამოიღეთ ტაფიდან და დააწყვეთ ხელსახოცზე, რათა ზეთი დაინუროს. შემდეგ თითოეული „ვარდის“ შუაგული ამოავსეთ მოხარშული კრემით და შუაში მოათავსეთ ალუბალი. მოაყარეთ შაქრის მინანქარი.

2023 წლის ბეჭდურ გამოცემათა მიმოხილვა

წლებია, რაც ჟურნალ „საბაში“ პერიოდულად მიმოვიხილავთ საქართველოში გამოცემულ იმ ლიტერატურას, სადაც ჩვენს ქვეყანაში კათოლიკე ეკლესიის, კათოლიკობის ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობის, დემოგრაფიისა და თანამედროვეობის შესახებ რაიმე ღირებული ცნობებია შეტანილი. ამჟამად გაგაცნობთ გასულ 2023 წელს გამოცემულ 5 კრებულს, სადაც კათოლიკობასთან დაკავშირებით საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 2023 წელს ვატიკანის ბიბლიოთეკასთან გააფორმა ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ და სამომავლოდ წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესახებ მრავალი ახალი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოქვეყნებას უნდა ველოდოთ. ხელშეკრულების გაფორმებაში საქართველოს მხრიდან მონაწილეობას იღებდა პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი, რომლის ავტორობით პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა რუკების ილუსტრირებული ალბომი „**თბილისური რეტროსპექტივა**“. ეს ორენოვანი ალბომი უნიკალური გამოცემაა, რადგან მასში, თბილისის ისტორიაში პირველად, ერთად თავმოყრილია ჩვენი დედაქალაქის ისტორიული რუკები, ფოტოები და ნახატები. ალბომი თვალსაჩინო ბეჭდური გამოცემაა, რომელიც მის დამთვალეებელს გააცნობს რუკებზე ასახულ თბილისის ისტორიას. ეს რუკები ინახავენ ასევე თბილისის კათოლიკურ ისტორიას, შუა საუკუნეებიდან არსებული ლათინთა (როგორც იმხანად მოიხსენიებდნენ) ტაძრების, ქუჩების, სასაფლაოების სახით.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მხარეები: კლარჯეთი, შავშეთი, სპერი და ტაო, XIX საუკუნის ბოლოდან 1921 წლამდე, დაახლოებით 40 წელი, საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, ერთ ადმინისტრაციულ სივრცეში იყო გაერთიანებული. აღნიშნულ პერიოდში ქართველი მეცნიერების მიერ ამ რეგიონში რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია განხორციელდა. ეს მასალები დღეისთვის ფასდაუდებელი ისტორიული დოკუმენტებია ჩვენი ისტორიის მკვლევრებისა და მათთვის, ვინც კათოლიკობის ისტორიითაა დაინტერესებული. ამ მხარეში ხომ

მოსახლეობის 5 პროცენტს კათოლიკეები შეადგენდნენ, დღემდე მრავალი კათოლიკური სატაძრო ნაგებობის ნაშთია შემორჩენილი. საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა კრებული „**ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე**“, რომლის შემდგენელი და რედაქტორია მირიან ხოსიტაშვილი. კრებულში ფართოდაა წარმოდგენილი ამ რეგიონის კათოლიკური მემკვიდრეობა.

2011 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაფუძნდა ევროპისმცოდნეობის დეპარტამენტი. მისი შემქმნელი მეცნიერები პირველი დღეებიდანვე თავიანთ კვლევებში ფართო ყურადღებას უთმობდნენ ქართულ-ევროპული ურთიერთობების შესწავლასა და პოპულარიზაციას. ამ მიმართებით კი, ცხადია, წმიდა საყდარს, კათოლიკე ეკლესიასა და საქართველოში კათოლიკურ მემკვიდრეობას უმთავრესი ადგილი უკავია. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ევროპისმცოდნეობის დეპარტამენტში მოღვაწე მეცნიერთა უმრავლესობისათვის კვლევის პრიორიტეტი სწორედ საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის საუკუნოვანი ისტორიის შესწავლაა. ევროპისმცოდნეობის დეპარტამენტი ყოველწლიურ საერთაშორისო სიმპოზიუმებსაც უწევს ორგანიზებას და ამ სამეცნიერო ფორუმებში ლომის წილი სწორედ კათოლიკე ეკლესიასა და საქართველოში კათოლიკობის ისტორიას ეთმობა. გასულ წელს გამოიცა კრებულის „**საქართველო და ევროპა**“ სამი ტომი, სადაც კათოლიკობასთან დაკავშირებული რამდენიმე საინტერესო სტატია გამოქვეყნდა. მხოლოდ ამ სტატიათა ავტორების დასახელებაც კი ნათელს გახდის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი მასალები შევიდა კრებულში: გაბრიელე ბრაგანტინი, მურმან პაპაშვილი; ნუგზარ ბარდაველიძის სტატიები ყოველ ნომერში დაიბეჭდა და ისინი საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და საიუბილეო თარიღებს ეძღვნება. მკითხველისთვის საინტერესო სიახლე კი ის ფაქტია, რომ კრებული „საქართველო და ევროპა“, ბეჭდურთან ვერსიასთან ერთად, ელექტრონული სახით გამოიცა და მათი მოძიება და ჩამოტვირთვა სრულიად უსასყიდლოდ არის შესაძლებელი.

„საბას“ სპეციალური კორესპონდენტი

თბილისში საკათედრო ტაძრის ორბანიძე და გუნდის ხელმძღვანელი პაპმა დააჯილდოვა

21 იანვარს, ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის ორგანიზატორ ლევ ოსიპოვსა და გუნდის ხელმძღვანელს, მარინა ოცხელს, მადლიერების ნიშნად, პაპ ფრანცისკესგან სპეციალური ჯილდო გადაეცათ. ლევ ოსიპოვი 40 წელია ორგანიზატორია, მარინა ოცხელი კი საკათედრო ტაძრის გუნდს 21 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ნმიდა წირვის დასასრულს, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ და საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა მამა ზურაბ კაკაჩიშვილმა დამსახურებულ მუსიკოსებს ლათინურ ენაზე შედგენილი სამადლობელო სიგელები და სპეციალური მედლები გადასცეს.

„ამ წლების განმავლობაში ჩვენ შორის იყო ორი პიროვნება, რომლებიც ემსახურებოდნენ ლიტურგიებს ჩვენს ეკლესიაში. მათგან ერთია ლოვა, რომელიც უკვე 40 წელია ყოველდღე უკრავს ორგანზე... ეს მელოდია არის ლოცვა ჩვენთან და ჩვენთვის. ეს არ ხდებოდა მხოლოდ კვირადღეს, როგორც საკვირაო ლოცვა, არამედ იყო ყოველდღე და ახლაც იგი ყოველდღე აქ არის, ახარებს ჩვენს ლოცვასა და ჩვენს ლიტურგიას. ამიტომ გვინდოდა გვეთქვა „მადლობა“, არა მარტო როგორც საკრებულოს, არამედ როგორც ეკლესიას. ამბობენ, როცა ეპისკოპოსი მადლობას გადაიხდის, ამას აკეთებს მთელი ეკლესიის სახელით... მეორე არის ქალბატონი მარინა. თქვენ კარგად იცით, რომ რამდენიმე წელი იგი იყო გუნდის დირექტორი და იმ პერიოდში გუნდში იყო ბევრი გოგონა, ლამაზი გალობები სრულდებოდა, ეს არის მისი მსახურების ნაყოფი, ამიტომ ჩვენ მას უნდა ვუთხრათ „მადლობა“. ამის გამო პაპისგან ვითხოვეთ განსაკუთრებული კურთხევა“, — განმარტა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ.

მუსიკოსებმა კი ასე გამოხატეს თავიანთი მადლიერება:

ლევ ოსიპოვი: „არასდროს მიფიქრია, რომ ჩემს ცხოვრებაში ასეთი სასწაული მოხდებოდა. დიდი მადლობა პაპ ფრანცისკეს, მეუფე ჯუზეპეს, მამა ზურაბს, მთელ ეკლესიას...“

მარინა ოცხელი: „ყველას უდიდესი მადლობა ასეთი მაღალი ჯილდოსათვის. უპირველესად, მეუფეს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ დიდ საქმეში. ძალიან მოულოდნელი იყო და, რასაკვირველია, არაჩვეულებრივი მომენტი. ნამდვილად არ ველოდი“.




თაკო ფეიქრიშვილი

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!



ზაურ ბერაბიძე
* 27.11.1960, უღე
† 16.11.2023, უღე



სონია ხაჩიძე
* 01. 03. 1937, უღე
† 15. 12. 2023, უღე



ტაცვილია საანიძე
* 24. 01. 1934, ახალციხე
† 21. 12. 2023, ახალციხე



დავით მსხვილიძე
* 18. 01. 1960, კეხოვანი
† 21. 12. 2023, ქიქინეთი



ისკუნ შუბასანი
* 10. 11. 1944, ოზურგეთი
† 24. 12. 2023, ოზურგეთი



ელისაბედ შუბასანიძე
* 03. 06. 1933, ვარგავი
† 24. 12. 2023, ვარგავი



მამა შალვა ვარდიძის
მოხსენიების დღე
სოფელ არალში

